პრაქტიკული გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისათვის

როგორ მოვახდინოთ რეაგირება გაეროს ადამიანის უფლებათა რეკომენდაციებზე

UNITED NATIONS

UNITED NATIONS
HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

1. როგორ გამოვიყენოთ ეს გზამკვლევი

ამ გზამკვლევში, რომელიც ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარიატის (OHCHR) მიერ გამოიცემა, აღწერილია, თუ როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებამ მოახდინოს რეაგირება გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმების, მანდატის მფლობელების და ორგანოების რეკომენდაციებზე. მკითხველებს, რომლებისთვისაც ჯერ არ არის ცნობილი ამ მექანიზმების ძირითადი მახასიათებლების შესახებ, ვთხოვთ გაეცნონ ადამიანის უფლებათა კომისარიატის "სახელმძღვანელოს სა-

მოქალაქო საზოგადოებისთვის: გაეროს ადამიანის უფლებათა პროგრამასა და მის პრაქტიკულ გზამკვლევებზე მუშაობა".[1] წინამდებარე გზამკვლევის I - III ნაწილებში განმარტებულია "რეაგირება" და "შესრულება", ხოლო IV ნაწილში აღწერილია ის მეთოდები და საქმიანობები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ და განახორციელონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა. V ნაწილში მიმოხილულია რეაგირების არსებული პროცედურები და გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმების პრაქტიკა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობის შესაძლებლობა.

გზამკვლევის VI ნაწილში აღწერილია ინსტრუმენტები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების წევრებს დაეხმარება რეაგირების საქმიანობების განხორციელებაში.

გზამკვლევში განხილულია რეაგირების მრავალი სხვადასხვა მეთოდი და საქმიანობა, რასაც თან ერთვის პრაქტიკული გამოცდილების მაგალითები, რომელთა მოწოდებისთვისაც მადლობას მოვახსენებთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ადგილობრივ წარმომადგენლობებს.[2] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესაძლებლობა ეძლევათ ამ ჩამონათვალიდან შეარჩიონ ის რესურსები, რომლებიც მათ პრიორიტეტებს და შესაძლებლობებს შეესაბამება.

გზამკვლევის ძირითადი აუდიტორიაა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. იგი ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე.

---

[1] ხელმისაწვდომია მისამართზე
www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/CivilSociety.aspx

[2] აქ მოყვანილი კაზუსები არ გულისხმობს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის თანხმობას

2. რას ნიშნავს რეაგირება და რატომ არის ის მნიშვნელოვანი

რეაგირების საქმიანობების მიზანია ადამიანის უფლებათა მექანიზმებისა და ორგანოების რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების **შესრულების უზრუნველყოფა**, რომ ყველა ადამიანის უფლება იყოს პატივცემული, დაცული და აღსრულებული.

გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმები და ორგანოები ძალისხმევას არ იშურებენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა რეალიზაციის გასაუმჯობესებლად. ადამიანის უფლებათა საბჭოს (Human Rights Council) რეზოლუციები, მოკვლევის კომისიების დასკვნები, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ორგანოების რეკომენდაციები, სპეციალური პროცედურები და საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი, სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებები ინდივიდუალურ საქმეებზე – ყველა მათგანის მიზანია დაცვის მექანიზმებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და სახელმწიფოებისა და სხვა პასუხისმგებელი პირებისა თუ ორგანიზაციებისთვის ადამიანის უფლებათა სრულფასოვანი რეალიზაციის გზის ჩვენება. ყველა ეს დასკვნა, რეკომენდაცია და გადაწყვეტილება მიმართულია უფლების მქონე სუბიექტის ცხოვრების პირობების უკეთესობისკენ შესაცვლელად. ამ ცვლილების მოხდენის ვალდებულება უმთავრესად სახელწიფოებს აკისრია, რადგან სწორედ ისინი არიან ვალდებული, პატივი სცენ, დაიცვან და აღასრულონ ადამიანის უფლებები. თუმცა, საზოგადოების ყველა შრეს, ფიზიკური პირებიდან დაწყებული და კერძო სექტორით დამთავრებული, საერთაშორისო საზოგადოებას თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს – ყველას აქვს შესასრულებელი თავისი როლი ადამიანის უფლებათა რეალიზაციაში. უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოებას კი გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ადამიანის უფლებათა რეკომენდაციებზე რეაგირებაში.

რეაგირების ეტაპების მოკლე შეჯამება



3. რეაგირება რაზე?

გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმებს და რეკომენდაციებს უამრავი დასკვნა და რეკომენდაცია აქვთ მიღებული. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რეაგირებას ახდენენ მხოლოდ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მათი საქმიანობის მიზნებსა და ფარგლებს შეესაბამება. ასეთი კი შეიძლება იყოს:

- სახელშეკრულებო ორგანოების რეკომენდაციები, რომელსაც ეს ორგანოები აფიქსირებენ მონაწილე სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების შესრულების შემოწმების შედეგად გამოთქმულ თავიანთ დასკვნით შენიშვნებში;
- ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების მიერ მიღებული რეკომენდაციები, რომლებიც შესულია ქვეყანაში ვიზიტის შესახებ ანგარიშებში, თემატურ ანგარიშებში და ინდივიდუალურ საქმეებზე მიღებულ შეტყობინებებში;
- ადამიანის უფლებათა საბჭოს საყოველთაო პერიოდული განხილვის (შემდგომში "სპგ") შედეგად მიღებული რეკომენდაციები;
- ადამიანის უფლებათა საბჭოს და გენერალური ასამბლეის რეზოლუციები და გადაწყვეტილებები;
- ადამიანის უფლებათა საბჭოს ქვეორგანოების, მაგალითად, საკონსულტაციო კომიტეტის შრომები, საჩივრების პროცედურა, ექსპერტთა მექანიზმი მკვიდრი მოსახლეობის უფლებებზე, უმცირესობათა საკითხების ფორუმი, სოციალური ფორუმი და ფორუმი ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე;
- ადამიანის უფლებათა საბჭოს, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის და გაეროს გენერალური მდივნის მიერ შექმნილი მოკვლევის კომისიების, ფაქტების

დამდგენი მისიების და ადამიანის უფლებათა სხვა დროებითი საგამოძიებო მექანიზმების რეკომენდაციები;

- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ანგარიშებსა და კვლევებში შეტანილი რეკომენდაციები (მაგალითად, ადგილობრივი წარმომადგენლობების ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ; ადამიანის უფლებათა საბჭოს დავალებით მომზადებული ანგარიშები და კვლევები ცალკეული ქვეყნების ან თემების შესახებ);
- ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიმართვები სახელმწიფოებისადმი ან საერთაშორისო საზოგადოებისადმი ან ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი ექსპერტების საჯარო განცხადებები.

ეს არასრული ჩამონათვალია რეკომენდაციებისა, რომლებზე რეაგირებაც უნდა მოახდინონ სახელმწიფომ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა. გაეროს მექანიზმების გარდა, ადამიანის უფლებათა რეალიზაციის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ანგარიშებსა და რეკომენდაციებს გამოსცემენ ადამიანის უფლებათა რეგიონული და ადგილობრივი მექანიზმებიც.

სამიზნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია თავიდან ავიცილოთ გადაწყვეტილების ვიწრო და ფრაგმენტირებული ხედვით მიღება. მართალია, ადამიანის უფლებათა სხვადასხვა მექანიზმებს აქვთ რეაგირების თავიანთი პროცედურები და პრაქტიკა, რომლებიც ამ გზამკვლევის მე-5 ნაწილში აღწერილია, სამოქალაქო საზოგადოებასაც შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა, თუ ის რეაგირების საკითხს კომპლექსურად მიუდგება.

კომპლექსური მიდგომა გულისხმობს ადამიანის უფლებათა მთელი რიგი მექანიზმების გამოყენებას და არა მხოლოდ რომელიმე მათგანის რეკომენდაციებით შემოფარგვლას. აქ იგულისხმება ადამიანის უფლებათა მექანიზმების გამოყენება საქმიანობის ყველა ეტაპზე. ადამიანის უფლებათა მექანიზმები გარკვეული ციკლის მიხედვით მუშაობს, რომლებიც სიმარტივისთვის შემდეგ ეტაპებად შეიძლება წარმოვადგინოთ: ინფორ-

მაციის მოძიება, ანგარიშის მომზადება, დიალოგი შესაბამის სახელმწიფოსთან, რეკომენდაციები და რეაგირება.

ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოების რეაგირების სამუშაოები უფრო ეფექტური იქნება, თუ ის თავის საქმიანობას ამ ციკლის ყველა ეტაპის დაცვით წარმართავს. ადამიანის უფლებათა მექანიზმების საქმიანობის ყველა ეტაპზე ჩართულობა, ცხადია, სავარაუდოდ უფრო მეტ შედეგს მოიტანს, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ადამიანის უფლებათა მექანიზმების დასკვნებითა და რეკომენდაციებით შეიძლება ეფექტურად ისარგებლონ მანამდე ჩართულობის გარეშეც.

ადამიანის უფლებათა მექანიზმების მუშაობის ციკლი



4. რეაგირების მეთოდები და საქმიანობები

ამ ნაწილში განხილულია სხვადასხვა მეთოდი და საქმიანობა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება გამოიყენონ რეაგირებისთვის. ამასთანავე, წარმოდგენილია საილუსტრაციო მაგალითები განვლილი პრაქტიკიდან.

4.1. მექანიზმების არჩევა მათთან თანამშრომლობის მიზნით

გაეროს ადამიანის უფლებათა ყველა ორგანოს უმთავრეს მიზანია ადამიანის უფლებათა რეალიზაცია თითოეული ადამიანის დონეზე. ქვეყნის წინსვლა, როგორც წესი, რამდენიმე ფაქტორის კომინაციითაა განპირობებული, დაწყებული პასუხისმგებელი პირების პოლიტიკური ნებიდან, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქცევის, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის, სასამართლოს გადაწყვეტილებების და დამოუკიდებლობის ხარისხის, რეგიონული ორგანიზაციების გავლენის, მთავრობის ცვლილების და სხვა ფაქტორების ჩათვლით. ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარიატს და ადამიანის უფლებათა მექანიზმებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა რეკომენდაციებისა და დასკვნების შესრულებისკენ გზის გაკვალვაში.

რომელ მექანიზმებია უფრო შედეგის მომტანი? სპეციალური პროცედურების მანდატის მფლობელის ვიზიტი კონკრეტულ ქვეყანაში? საყოველთაო პერიოდული განხილვის (სპგ) და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების ფარგლებში სახელმწიფოების მისამართით გაცემული რეკომენდაციები? თუ სახელშეკრულებო ორგანოს მიერ ინდივიდუალურ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება? იქნებ ყველა ყველა ეს მექანიზმის და საშუალება ერთად აღებული? რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ადამიანის უფლებათა მექანიზმმა სამოქალქო საზოგადოების საქმიანობას რომელიმე კონკრეტულ თემაზე და/ან კონკრეტულ ქვეყანაში, რეგიონში ან ტერიტორიაზე? ადამიანის უფლებათა ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენება რამდენად თავსებადია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრიორიტეტებთან, გეგმებთან და უნარიანობასთან?

კონკრეტული მექანიზმის მახასიათებლების გაანალიზება და მისი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაცნობა აუცილებელია ეტაპებია 1) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ამ მექანიზმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, 2) გამოყენების კონკრეტული ფორმების განსაზღვრისას და 3) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტრატეგიებსა და სამუშაო გეგმებში ამ მექანიზმთან თანამშრომლობის გათვალისწინებისას.

4.2. ადამიანის უფლებათა მექანიზმების მუშაობის ციკლის ყველა ეტაპში მონაწილეობა შედეგის მაქსიმიზაციის მიზნით

გამოცდილება აჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მიერ ადამიანის უფლებათა მექანიზმების გამოყენებას მეტი შედეგი მოაქვს, თუ მათი გამოყენება ხდება ადამიანის უფლებათა მექანიზმის მუშაობის ციკლის ყველა ეტაპში მონაწილეობის მიღებით. მაგალითად, საყოველთაო პერიოდული განხილვის (სპგ) დროს განხილვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით ინფორმაციის წარდგენისას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ყველაზე მეტად აშფოთებთ, იქნება ეს ბავშვთა სხეულებრივი დასჯა თუ ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაცია. მათ შეუძლიათ დიალოგი თავდაპირველად საკუთარ მთავრობასთან გამართონ, ხოლო მოგვიანებით წევრი სახელმწიფოების დელეგაციებთან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სპგ-ის ფარგლებში ინტერაქტიულ დიალოგში და მოუწოდონ მათ ამ საკითხებზე რეკომენდაციების გაცემისკენ. სპგ-ის ფარგლებში გამოცემულ დოკუმენტში შევა ეს რეკომენდაციები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მათი გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ადვოკატირების ან სამოქალაქო საზოგადოების სხვა საქმიანობების გასაძლიერებლად.

იგივე პროცესი გამოიყენება სხვა მექანიზმების შემთხვევაშიც. წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს მყარად დოკუმენტირებული და სანდო, ეხებოდეს საკითხებს, რომლების გამოც შეშფოთებულია სამოქალაქო საზოგადოება. ეს აძლიერებს შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების გამოყენების აქტუალობას და მიზნობრიობას. შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოებული ადვოკატირების პროცესის მხარდაჭერის თვალსაზრისით აუცილებელი მნიშვნელობა აქვს გაეროს ადამიანის უფლებათა ორგანოების რეკომენდაციების, რომლებიც კარგად დასაბუთებულია, აღსრულებადია და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გამოვლენილი ხარვეზების ადეკვატურია.

4.3. ადამიანის უფლებათა რეკომენდაციების და დასკვნების დალაგება

ადამიანის უფლებათა მექანიზმების რეკომენდაციები უამრავია. ისინი გამოცემულია როგორც თემატურად, ისე ქვეყნების მიხედვით. თემატურად ან გეოგრაფიული ინტერესის მიხედვით მათი შეგროვება და დალაგება ძალზედ სასარგებლო იქნება კომპლექსური რეაგირებისთვის მოსამზადებლად. რეკომენდაციების და დასკვნების დალაგება ხელს შეუწყობს:

- რეკომენდაციებზე იოლ წვდომას;
- რეკომენდაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მათ გავრცელებას;
- არსებული რეკომენდაციების ყოვლისმომცველი მიმოხილვის მომზადებას, რაც გააადვილებს კომპლექსური რეაგირების სტრატეგიის შემუშავებას;
- რეკომენდაციების შესრულებისას და რეაგირებისას პრიორიტეტების განსაზღვრას;
- მეთვალყურეობის გეგმის შემუშავებას.

ამ პროცესში გამოგადგებათ შემდეგი ინსტრუმენტი:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო ინდექსი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო ინდექსი[1] არის ონლაინ მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავმოყრილია სახელშეკრულებო ორგანოების, სპეციალური პროცედურების მექანიზმის და საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის მიერ გამოცემული რეკომენდაციები. ინდექსი მოსარგებლეებს საშუალებას აძლევს, მოიძიონ და დაათვალიერონ აღნიშნული ორგანოებისა და მექანიზმების რეკომენდაციები სხვადასხვა საძიებო კატეგორიით, როგორიცაა სახელმწიფო, უფლება, ორგანო, პირი, რომელსაც ის ეხება და დროის შუალედი. საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის შემთხვევაში ძიება დამატებით შესაძლებელია ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა რეკომენდაციის გამომცემი სახელმწიფო, განხილვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს პოზიცია და განხილვის სესია. რამდენიმე დაწკაპუნებით მაძიებელს შეუძლია დაათვალიეროს გაეროს ორგანოების და მექანიზმების შეფასებები ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში ადამიანის უფლებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. ეს კი გაეროს ხელთ არსებულ კოლოსალურ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა შესახებ უფრო გამჭვირვალეს და ადვილად ხელმისაწვდომს ხდის.

[1] http://uhri.ohchr.org/

რეკომენდაციების დალაგების პრაქტიკა ცენტრალურ აზიაში

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობამ ცენტრალურ აზიაში დახმარება გაუწია ყირგიზეთის აკადემიურ დაწესებულებას, რის შედეგადაც შეიქმნა გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმების მიერ გამოცემული რეკომენდაციების კრებული, რომელიც დალაგებულია ცალკეული უფლებების მიხედვით. კრებულში შესულია სახელშეკრულებო ორგანოების, სპეციალური პროცედურების მექანიზმის და საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის მიერ გამოცემული რეკომენდაციები. აღნიშნული კრებულის გამოყენებით მოხდა რეკომენდაციების შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა.[1]

4.4. პრიორიტეტებად დალაგება და დაგეგმვა

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ზოგიერთი რეკომენდაცია შეიძლება უფრო გამოადგეთ, ვიდრე სხვა რეკომენდაციები. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ამა თუ იმ წარმადგენლისთვის ზოგი რეკომენდაცია შეიძლება სხვასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იყოს მისი თემატური თუ გეოგრაფიული პრიორიტეტებიდან გამომდინარე. ზოგიერთ რეკომენდაციაზე რეაგირება შეიძლება იოლი იყოს, სხვებზე რეაგირება კი ისეთ რესურსებს საჭიროებდეს, რისი შესაძლებლობაც მოცემულ ორგანიზაციას არ აქვს. ზოგი რეკომენდაცია შეიძლება წარმოადგენდეს სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანის უფლებათა მექანიზმს შორის თანამშრომლობის შედეგს. სავარაუდოდ, უფრო მიზანშეწონილი შეიძლება იყოს ამ ტიპის რეკომენდაციებზე რეაგირება და მათზე რეაგირების შეტანა ორგანიზაციის სტრატეგიებსა და გეგმებში.

[1] კრებული ხელმისაწვდომია მისამართზე **www.auca.kg**

კერძო პირების მიერ კანადაში ჩადენილი წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტები

2011 წელს კანადის უნივერსიტეტების ქალთა ფედერაციის (CFUW) 110 კლუბმა კანადის მთავრობას მოუწოდა, სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოეცხადებინა კერძო პირების მიერ წამების და არასათანადო მოპყრობის ჩადენა.

კანადის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია წამება, ჩადენილი საჯარო მოხელეების მიერ. მაგრამ წამების დანაშაულად არ ითვლება იგივე ქმედება, თუ იგი ჩადენილია კერძო პირების მიერ, მაგალითად, ოჯახური ძალადობის შემთხვევები.

2012 წლის აპრილში CFUW-მ წამების საწინააღმდეგო კომიტეტს ალტერნატიული ანგარიში წარუდგინა. CFUW-ს წევრები მაისის თვეში კომიტეტის სხდომას ესწრებოდნენ. CFUW-ს ორმა წევრმა განაცხადა: "ჩვენ მოვისმინეთ, რომ კომიტეტმა კანადის მთავრობის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ზოგიერთი ტიპის გენდერული ძალადობა წარმოადგენს წამებას მაშინაც, თუ ის ჩადენილია კერძო პირების მიერ და მათზე ვრცელდება კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვის შესახებ. ეს იყო გარღვევა გენდერული თანასწორობის და იმ თვალსაზრისით, რომ ქალებს და გოგონებს აქვთ იმპერატიული უფლება, არ დაექვემდებარონ წამებას კერძო პირების მიერ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნა სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენთვის და ჩვენ ეს დასკვნა უკვე შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენს საქმიანობაში". კომიტეტის დასკვნაზე რეაგირების სახით CFUW-მ წერილობითი მოსაზრება წარუდგინა კომისიას ქალთა მდგომარეობის საკითხებზე და მონაწილეობა მიიღო საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმისთვის კანადასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარდგენაში. ამისათვის კი მან გამოიყენა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნა კერძო პირების მიერ ჩადენილ წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, ადამიანის უფლებათა მექანიზმების მუშაობის ციკლის რომელი ეტაპიდან მიიღებენ ისინი მექანიზმის მუშაობაში მონაწილეობას, სამოქალაქო საზოგადოების წარმოადგენელთა გამოცდილება აჩვენებს, რომ არსებული რეკომენდაციების და დასკვნების პრიორიტეტებად დალაგება მათ მიერ დასახული ადამიანის უფლებათა მიზნების მიხედვით აუცილებელი ნაბიჯია რეაგირების რეალისტური გეგმების შემუშავებისათვის. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა რეკომენდაციების პრიორიტეტებად დალაგებისას სხვადასხვა **კრიტერიუმები** შეიძლება გამოიყენონ:

- ადამიანის უფლებათა მექანიზმის ან ორგანოს ის რეკომენდაციები, რომლებიც შინაარსობრივად ემთხვევა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის რეკომენდაციებს;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის მიზნებსა და საქმიანობასთან შესატყვისი რეკომენდაციები, რომლებზე რეაგირების შეტანა მის სამუშაო გეგმებში რეალისტურია;
- რეკომენდაციები და დასკვნები, რომლებიც ადამიანის უფლებათა სამართლის ახლებურ განმარტებას ან გამოყენებას ამკვიდრებს;
- რეკომენდაციები, რომელთა შესრულებას შეიძლება ხელს უწყობდეს სხვადასხვა ფაქტორი (მაგალითად, მათი შესრულება სახელმწიფოს პრიორიტეტია, საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა და/ან დახმარება მათ შესასრულებლად, საჭირო რესურსების არსებობა);
- რეკომენდაციები, რომლებზე რეაგირებაც სამოქალაქო საზოგადოებამ შეიძლება მოახდინოს სხვებთან ერთად, კოალიციების მეშვეობით;
- რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გაზომვა შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს;

- რეკომენდაციები, რომლებიც იგნორირებული დარჩებოდა, რომ არა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტივობა;
- რეკომენდაციები, რომელთა სამიზნეა უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოება (მაგალითად, სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები უფლებადამცველებს უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ).

გენდერული ნიშნით და გენდერული იდენტობის ნიშნით არადისკრიმინაციის თემაზე საყოველთაო პერიოდული განხილვის (სპგ) ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების პრიორიტეტებად დასახვა

სპგ-ის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების პრიორიტეტებად დასახვა და წინასწარი სამუშაო გეგმის შემუშავება შეიძლება მოკლედ ასეთ პროცესად წარმოვიდგინოთ:

სპგ-ის ფარგლებში მიღებული რეკომენ-დაცია	პრიორიტეტი	რეაგირების ტიპი და ძირ-ითადი საქმიანობები	პასუხისმგებელი ორგანი-ზაცია (ორგანიზაციები) და რესურსები	ვადა	ინდიკატორები
დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამართ-ლებრივი დაცვის გაძლიერება იმ გზით, რომ იმ ნიშნების ჩამონათვალს, რომ-ლითაც აკრძალულია დისკრიმინაცია, დაე-მატოს სექსუალური ორიენტაცია და გენ-დერული იდენტობა	დიახ. მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც მთავრობამ შეიძლება იგნორირება გაუკე-თოს, თუ სამოქალაქო საზოგადოება და საერთაშორისო თა-ნამეგობრობა მასზე ყურადღებას არ გაა-მახვილებენ.	ადვოკატირება; პარლამენტის წევრებთან ლობირება; კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილ-ეობა; კამპანიის წარმოება.	ლგბტ ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგა-დოების სხვა წარმო-მადგენლებთან ერთად. მიმდინარე საქმიანობების ფარგლებში.	მომდევნო 4 წელი	არადისკრიმინაციის კანონმდებლობაში იმ ნიშნების ჩამონ-ათვალს, რომლი-თაც აკრძალულია დისკრიმინაცია, დაე-მატა სექსუალური ორიენტაცია და გენ-დერული იდენტობა
საზოგადოებრივი ცნო-ბიერების ამაღლების კამპანიების დაწყება ან დაწყებულში ჩართვა, ჰომოსექსუალი, ბის-ექსუალი და ტრანსსე-ქსუალი პირებისადმი შემწყნარებლობის წასახალისებლად	დიახ. იხილეთ ზემოთ.	კამპანიაში მონაწილეობა; წინადადების შეთავაზება, რომ სამიზნე ჯგუფი იყოს ახალგაზრდობა, მთლიანად საზოგადოება და სამართ-ალდამცველები. სამიზნე ობიექტები: საშუალო სკოლები, უნი-ვერსიტეტები, სპორტული კლუბები, პოლიციის საწვრთნელი ბაზები.	ლგბტ ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგა-დოების სხვა წარმომად-გენლებთან ერთად. მო-საძიებელია დამატებითი რესურსები.	მომდევნო 4 წელი	კამპანია ჩატარე-ბულია. წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ჯგუფები-სთვის ინფორმაცია მიწოდებულია.
გაგრძელდეს გენ-დერული უთანას-წორობის საკითხზე მუშაობა	არა. ძალიან ზოგადად არის ჩამოყალიბებუ-ლი.				

სპგ-ის ფარგლებში მიღებული რეკომენ-დაცია	პრიორიტეტი	რეაგირების ტიპი და ძირითადი საქმიანობები	პასუხისმგებელი ორგა-ნიზაცია (ორგანიზაციე-ბი) და რესურსები	ვადა	ინდიკატორები
გაგრძელდეს გენდერულ საკითხებთან და ქალთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დაწე-სებულებების და პრე-ვენციული მექანიზმების გაძლიერება	დიახ. მთავრობას უნდა წახალისდეს, რომ გააძლიეროს თანას-წორობის მექანიზმები მეტი რესურსების ინვე-სტირების გზით.	მეთვალყურეობა და ად-ვოკატირება; თანასწორი შესაძლებლობების სამინ-ისტროსთვის გამოყოფილ საბიუჯეტო რესუსებზე მეთვალყურეობა; სამინ-ისტროს მიერ წარდგენილ ინიციატივებზე მეთვალყ-ურეობა, რომლებიც გაზი-არებული და შესრულებუ-ლი იქნა მთავრობის იერ.	ქალთა ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოე-ბის სხვა წარმომადგენ-ლებთან თანამშრომლო-ბით. შედის მიმდინარე საქმიანობებში. საჭიროა დამატებითი ცოდნა-გა-მოცდილება ბიუჯეტის მეთვალყურეობის სფეროში.	მომდევნო 4 წელი	თანასწორი შეს-აძლებლობების დასანერგად სამინ-ისტროსთვის გამოყ-ოფილი რესურსები; სამინისტროს წინადადებები, რომ-ლებიც მთავრობამ გაიზიარა და შეასრუ-ლა.
ბოლოდროინდელი სამართლებრივი რე-ფორმების პრიორიტე-ტად ქცევა, რომელთა მიზანია CEDAW-ს (კონ-ვენცია ქალთა წინააღმ-დეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ) შესაბამისად დისკრიმ-ინაციული ნორმების ამოღება.	დიახ. დროა, გვქონდეს არადისკრიმინაციული კანონმდებლობა!	კანონმდებლობაზე მეთ-ვალყურეობა; შედის CEDAW-ს სა-ფუძველზე მიღებულ დასკვნით შენიშვნებზე რეაგირების საქმიანობებ-ში.	ქალთა ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოე-ბის სხვა წარმომადგენ-ლებთან თანამშრომლო-ბით. შედის მიმდინარე საქმიანობებში.	მომდევნო ანგარიში CEDAW-ს კონვენციის მიხედვით	CEDAW-ს მიერ მი-თითებული დისკრიმ-ინაციული ნორმები გაუქმებულია.
მიზნობრივი ღონისძიე-ბების განხორციელება ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავების აღმოსაფხვრელად.	არა, მაგრამ მხარდაჭ-ერილია სამოქალაქო საზოგადოების წარმო-მადგენლების მიერ. რე-აგირება შეუძლებელია, რადგან სცდება მოცე-მული ორგანიზაციის შესაძლებლობებს.				

სპგ-ის ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია	პრიორიტეტი	რეაგირების ტიპი და ძირითადი საქმიანობები	პასუხისმგებელი ორგანიზაცია (ორგანიზაციები) და რესურსები	ვადა	ინდიკატორები
სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით შემუშავდეს დეტალური სტრატეგია ქალთა წინააღმდეგ მიმართული საზიანო კულტურული ჩვეულებების და დისკრიმინაციული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად.	დიახ. ეს პრიორიტეტად მიჩნეულია კოალიციის მიერ და რეკომენდაციაც მკაფიოდ ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების როლს.	სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა.	ქალთა ორგანიზაციები "გაეროს ქალებთან" პარტნიორობით.	ერთი წელი	სტრატეგია მიღებულია
ძალისხმევის გაძლიერება ბავშვთა შრომის აღმოფხვრის მიზნით იმ გზით, რომ გაუმჯობესდეს კოორდინაცია სხვადასხვა შიდასახელმწიფო-ებრივ დაწესებულებას შორის, რომლებიც დაკავებული არიან ბავშვის უფლებებით.	არა. სცდება მოცემული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს.				

4.5. შესრულებაზე მეთვალყურეობა

სახელმწიფოს მიერ რეკომენდაციების შესრულებაზე მეთვალყურეობა მნიშვნელოვანი საქმიანობაა, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს მთავრობის ანგარიშვალდებულებას. აქ იგულისხმება, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მუდმივად იმყოფებოდნენ საქმის კურსში ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოახდინა თუ არა სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების რატიფიცირება, მოიწვია თუ არა სპეციალური პროცედურების მექანიზმი ქვეყანაში ვიზიტად, მიიღო თუ არა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონი; მეთვალყურეობაში შეიძლება იგულისხმებოდეს აგრეთვე კომპლექსური სამუშაოების ჩატარება, როგორიცაა სხვადასხვა წყაროდან და ადგილმდებარეობიდან ინფორმაციის შეგროვება და დიდი ოდენობით მონაცემების ურთიერთშედარება ანდა დროის განსაზღვრულ შუალედში არსებული ინფორმაციის გაანალიზება განსაზღვრული ინდიკატორების და კრიტერიუმების მიხედვით. მიუხედავად იმისა, განხორციელებული მეთვალყურეობის ღონისძიებები მარტივია თუ კომპლექსურია, **მთავარია, რომ გაკეთებული დასკვნები იყოს სწორი და სანდო**. დასკვნები გამოდგება ქვეყნის მთავრობასთან ადვოკატირებისთვის. ისინი შეიძლება ჩამოყალიბდეს ადამიანის უფლებათა მექანიზმებისთვის წარსადგენი ინფორმაციის სახით, მაგალითად, საყოველთაო პერიოდული განხილვის მეორე ან მესამე ციკლისას, სახელშეკრულებო ორგანოების მიერ მათი შემდგომი განხილვის მიზნით ან ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის ზეპირად მისაწოდებელი ინფორმაციის სახით. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო ადამიანის უფლებებზე მეთვალყურეობის შესახებ[1] ითვალისწინებს დეტალურ გზამკვლევს მეთვალყურების მეთოდოლოგიებზე, როგორიცა ინფორმაციის აქტიური შეგროვება, გადამოწმება, ანალიზი და გამოყენება ადამიანის უფლებათა პრობლემების შეფასებისა და მათზე რეაგირების

[1] ადამიანის უფლებებზე მეთვალყურეობის სახელმძღვანელო (გაეროს გამოცემა, HR/P/PT/7/Rev.1)

მიზნით. ამ სახელმძღვანელოში მოცემული განმარტების მიხედვით, მეთვალყურეობა გრძელდება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მეთვალყურეობის მთლიან პროცესს უწოდებენ ადამიანის უფლებებზე მეთვალყურეობის ციკლსაც (იხილეთ ქვემოთ).

მეთვალყურეობის ციკლი



მეთვალყურეობა ჰონგ კონგის საარჩევნო უბნებზე ინფორმაციის და მასალების ხელმისაწვდომობაზე

2012 წლის სექტემბერში უნარშეზღუდულთა უფლებების კომიტეტის (ჩღPD) განხილვის ობიექტს წარმოადგენდა ჩინეთი, ჰონგ კონგის ჩათვლით. კომიტეტის მე-7 და მე-8 სხდომებს ესწრებოდა ორგანიზაცია "არჩევითი ხელისუფლების" ორი წარმომადგენელი, რომლებიც საკუთარ უფლებებს იცავდნენ. მათი მიზანი იყო, კომიტეტისთვის მოეხსენებინათ, როგორ იცავდა მთავრობა მათ უფლებებს, ხოლო შემდგომ ეს გამოცდილება გამოეყენებინათ თავიანთ ადვოკატირების საქმიანობაში ჰონგ კონგში. ორგანიზაცია "არჩევითი ხელი-

სუფლება” პირველი ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს საკუთარი უფლებების დაცვის და თვითდახმარების პრინციპებით. მისი ხელმძღვანელები არიან სწავლის განსხვავებული უნარის მქონე ადამიანები აზიის რეგიონიდან. მათი წარმომადგენლობა ჟენევაში გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე პირებმა თავად მიმართეს კომიტეტს.

მე-7 სხდომის შემდეგ, რომელზეც განსახილველ საკითხთა სია იქნა მიღებული, “არჩევითმა ხელისუფლებამ” ლობირება გაუწია ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე პირების მიერ ინფორმაციის და მასალების ხელმისაწვდომობას საარჩევნო უბნებზე, აგრეთვე ამ პირთა უფლებას, საარჩევნო კაბინაში მათ თან ახლდეთ მათ მიერვე შერჩეული დამხმარე პირი. 2012 წლის ივლისში ისინი შეხვდნენ სარეგისტრაციო და საარჩევნო ორგანოს თანამდებობის პირებს და მათ წინაშე დააყენეს ეს და სხვა საკითხები, მათ შორის უსინათლოთა მიერ ხმის მიცემის შეუძლებლობა, დაწესებულებებში მცხოვრები პირების მიერ ხმის მიცემის შეუძლებლობა და “ქმედუუნაროდ” აღიარებული ადამიანების მიერ საარჩევნო უფლების არქონა.

არჩევნები 2012 წლის სექტემბერში ჩატარდა. ორგანიზაცია “არჩევითი ხელისუფლება” არჩევნებს რამდენიმე თვალსაზრისით აკვირდებოდა. გაირკვა, რომ საარჩევნო ვებგვერდები ხელმისაწვდომი არ იყო, დიდი ხანი უნდა ეცადათ, რომ ეხილათ “ადვილად წასაკითხი” ინსტრუქციები საარჩევნო უბნებზე ქცევის წესების შესახებ, ხოლო რიგ შემთხვევებში საარჩევნო უბნებზე მათთვის გაწეული დახმარება სრულად არ აკმაყოფილებდა მათი ავტონომიურობისა და კონფიდენციალობის მოთხოვნებს.

CRPD კომიტეტის განხილვის პროცესში მონაწილეობის დადებით შედეგად უნდა იქნას მიჩნეული უნარშეზღუდულ პირთა ორგანიზაციების მობილიზება და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ ძალების გაერთიანება კოალიციის სახით, უნარშეზღუდულთა პრობლემების უფრო

ხმამაღლა გასაჟღერებლად ფართო სამოქალაქო საზოგადოებაში. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებმა ჰონგ კონგში ერთმანეთთან თანამშრომლობის გზით ადამიანის უფლებათა კომიტეტს წარუდგინეს ინფორმაცია განსახილველ საკითხა შეთანხმებული სიის პუნქტებზე. წარდგენილ ინფორმაციაში მათ ასევე დააყენეს პოლიტიკურ პროცესებში მათი მონაწილეობის საკითხი, რათა გააძლიერონ ზეწოლა მთავრობაზე მათი თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ინდიკატორების გამოყენება შესრულებაზე მეთვალყურეობისას

რეკომენდაციების შესრულებაზე მეთვალყურეობისას შესაძლებელია რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით სარგებლობა, გამართული და გამჭვირვალე მეთოდოლოგიების გამოყენებით.

მაგალითად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ კანონის მიღების თაობაზე რეკომენდაციის შესრულების შესამოწმებელი ინდიკატორები შეიძლება იყოს კანონის ძალაში შესვლის თარიღი და მისი მოქმედების სფერო.

ამ სფეროში კიდევ ერთი რეკომენდაცია შეიძლება ეხებოდეს “მუშაობის გაგრძელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით უსაფრთხო და ხელმისაწვდომ კონტრაცეფციის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით”.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების გასაზომ ინდიკატორად შეიძლება გამოყენებული იქნას იმ ქალების ან მათი პარტნიორების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ კონტრაცეპტივებს. კონტრაცეფციის მომსახურებით სარგებლობის

შესახებ მონაცემებს აქვეყნებს გაეროს მოსახლეობის განყოფილება, რომელიც აღნიშნული ინფორმაციის შეკრების მიზნით პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს ქვეყნების მასშტაბით.

ინდიკატორებისთვის მონაცემების შეგროვებისას აუცილებელია კატეგორიებად ჩაშლილი ინფორმაციის წარმოდგენა, რომ შესაძლებელი იყოს დისკრიმინაციული ასპექტების გამოვლენა. იმის მიხედვით, რა იქნება მნიშვნელოვანი და რეალისტური კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორებთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება ჩაიშალოს ისეთი კრიტერიუმებს მიხედვით, როგორიცაა რასა, ფერი, სქესი, ასაკი, ენობრივი კუთვნილება, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებები, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადების მდგომარეობა, ფიზიკური ან ფსიქიკური უნარშეზღუდულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა (მათ შორის აივ/შიდსი ინფექციის ქონა), სექსუალური ორიენტაცია და სამოქალაქო, პოლიტიკური ან სხვა მდგომარეობა. შესაბამისი ინდიკატორების დასახელების შემდეგ სასურველია მოხდეს კრიტერიუმების დაფიქსირება, რომ სახელმწიფოზე განხორციელდეს ზეწოლა ამ რეკომენდაციების შესრულების და შესრულებაზე ინფორმაციის გაცემის მიზნით.

ორგანიზაციებს **"საზოგადოებრივი მეთვალყურე"**[1] და **"ეკონომიკური და სოციალური უფლებების ცენტრი"**[2] რეკომენდაციებზე რეაგირებისას ინდიკატორების გამოყენების მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ.[3]

---

[1] **www.socialwatch.org**

[2] **www.cesr.org**

[3] ინდიკატორებთან დაკავშირებით დამატებითი რჩევებისთვის იხილეთ "ადამიანის უფლებათა ინდიკატორები – გაზომვისა და შესრულების გზამკვლევი" (გაეროს გამოცემა, HR/PUB/12/5)

4.6. გამოიყენეთ მომენტი

ხელსაყრელი მომენტი შეიძლება შეიქმნას, როდესაც გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმი ახდენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებას ან როდესაც ქვეყანას ესტუმრება სპეციალური პროცედურის მანდატით აღჭურვილი პირი. მაგალითად:

- მედია საშუალებების მიერ ადამიანის უფლებათა მდგომარეობისადმი უპრეცედენტო ყურადღების დათმობა;
- ხელისუფლების ორგანოების მზაობა, ყურადღება მიაქციონ ადამიანის უფლებათა პრობლემებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- ახალი საკონტაქტო პირები მთავრობაში, რომლებიც მზად არიან სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგისთვის;
- ხელახალი იმპულსი, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ;
- ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის მიღების შესახებ პოლიტიკური ნების გამოვლინება;
- მოცემულ სფეროში მუშაობისთვის ახალი რესურსების გაჩენა; და
- ქვეყანაში უფლებათა მდგომარეობის განხილვასთან დაკავშირებით პარტნიორობების ან კოალიციების შექმნა ან გაძლიერება.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულონ როგორც ადამიანის უფლებათა მექანიზმების საქმიანობასთან დაკავშირებით ხელსაყრელი მომენტის შექმნაში, ისე ამ შესაძლებლობების გამოყენებაში ადამიანის უფლებათა უკეთ დაცვის სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.

4.7. კოალიციების შექმნა და მათთან მუშაობა

კოალიციებად გაერთიანებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობას ადამიანის უფლებათა მექანიზმების მუშაობაში ხშირად მოაქვს დადებითი შედეგები. მაგალითისთვის, ასეთი შედეგები შეიძლება იყოს:

- უფრო სრულყოფილი ინფორმაციის წარდგენა ადამიანის უფლებათა მექანიზმებისთვის, რის შედეგადაც უფრო სავარაუდოა ისეთი რეკომენდაციების მიღება, რომლებშიც ასახული იქნება კოალიციის მიერ დასახელებული პრიორიტეტები;

- კოალიციის წევრ ორგანიზაციებს შორის შრომის განაწილება სპეციალიზაციის, რესურსების და გამოცდილების მიხედვით, რის შედეგადაც უფრო ეფექტური ხდება მონაწილეობა და რეაგირება (მაგალითად, ზოგიერთი ორგანიზაციის მუშაობის პროფილია ადვოკატირება ან ცნობიერების ამაღლება, სხვები მუშაობენ მეთვალყურეობაზე, ინფორმაციის შეგროვებაზე და გაანალიზებაზე; სხვები კი ეხმარებიან ადამიანის უფლებათა დარღვევით დაზარალებულ პირებს და უზრუნველყოფენ, რომ მათი ხმა და ჩვენებები იქნას შესმენილი);

- უკეთესი შრომითი ურთიერთობა, თანამშრომლობა და სოლიდარობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მათ რაიმე საფრთხე ემუქრებათ;

- კოალიციის უფრო მეტი გავლენა და დამაჯერებლობა, რადგან ისინი ერთიანი გზავნილით და მიზნით მიმართავენ ადამიანის უფლებათა მექანიზმებს, ხელისუფლების ორგანოებს და სხვა აქტორებს (მაგალითად, დიპლომატიურ მისიებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ დაწესებულებებს);

- მცირე ზომის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უფრო მეტად შეძლებენ სხვათა ყურადღების მიპყრობას თავიანთი საკითხებისადმი, თუ ამ საკითხებს ისინი კოალიციების მეშვეობით გააჟღერებენ.

ფილიპინების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა კოალიცია წარმატებას აღწევს წამების პრევენციაში საყოველთაო პერიოდული განხილვის (სპგ) მექანიზმის მეშვეობით

სამედიცინო ჩარევის ჯგუფი (MAG) მონაწილეობას იღებდა ფილიპინებთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ანგარიშის მომზადებაში, მისი საყოველთაო პერიოდული განხილვის (სპგ) მექანიზმისთვის წარდგენის მიზნით. ვიდრე განხილვა შედგებოდა 2012 წლის მაისში, კოალიციაში შემავალმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა დიპლომატიური კორპუსისთვის მოაწყვეს ბრიფინგი ქალაქ მანილაში, რომელსაც დაახლოებით 20 საელჩოს წარმომადგენელი დაესწრო. ჟენევაში აღნიშნულმა ჯგუფმა შეხვედრები გამართა 16 დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან და ისინი საქმის კურსში ჩააყენა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათი შეშფოთების საგანს წარმოადგენდა. “ჩვენ შევძელით ჩვენთვის პრიორიტეტული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მიგვეწოდებინა კონკრეტულად და მოკლედ. თითო საკითხისათვის თითო გვერდი იყო დათმობილი,” განაცხადეს კოალიციის წევრებმა. “სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ კოალიციად გაერთიანების და ამ კოალიციის მეშვეობით საყოველთაო პერიოდული განხილვის პროცესში ანგარიშის წარდგენამ და მთავრობებთან ლობისტური საქმიანობის ჩატარებამ განაპირობა უფრო მეტად ადეკვატური რეკომენდაციების მიღება. ამან ხელი შეუწყო რეაგირებასაც და ჩვენს აქტიურ ჩართულობას მთავრობის მიერ მათი შესრულების პროცესში.”

სამედიცინო ჩარევის ჯგუფი (MAG) და ფილიპინების გაერთიანებული კოალიცია წამების წინააღმდეგ (UATC) ახლა უკვე იყენებენ სპგ-ის მექანიზმის რეკომენდაციებს წამების პრევენციისკენ მიმართულ თავიანთ საქმიანობებში. “ჩვენ სპგ-ის რეკომენდაციებს ვიყენებთ მეთვალყურეობისა და ადვოკატირების სამიანობებში და ვცდილობთ, საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ წამების სამედიცინო ასპექ-

ტებზე, მათ შორის სტამბოლის ოქმში მითითებულ დოკუმენტაციაზე და შევქმნათ სარეაბილიტაციო პროგრამები წამებაგადატანილი ადამიანებისა და მათი ოჯახებისთვის. სპგ-ის რეკომენდაციებმა მრავალი შედეგი გამოიღო ფილიპინებში წამების პრევენციისკენ მიმართული მოძრაობის გაძლიერების თვალსაზრისით," დაასკვნა სამედიცინო ჩარევის ჯგუფის წარმომადგენელმა.

შვეიცარიაში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დეკავშირებული რეკომენდაციების შესრულების საგზაო რუკა

კოალიციამ "Suisse Romande sur les droits économiques, sociaux et culturels" დაიწყო რეაგირება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ შვეიცარიასთან დაკავშირებით მიღებულ შენიშვნებზე. მან მოიწვია დასკვნით შენიშვნებში ასახულ სხვადასხვა სფეროში სპეციალიზებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რათა ემსჯელათ, რისი გაკეთება იქნებოდა საჭირო თითოეული ამ რეკომენდაციის შესასრულებლად. გამოთქმული მოსაზრებები ჩამოყალიბდა კონკრეტული მითითებების სახით, რომლებზეც ინფორმაცია მიეწოდათ და დისკუსია მოეწყო მთავრობის წარმომადგენლებთან მრგვალი მაგიდების ფორმატში.

მართალია, გამოცდილება აჩვენებს, რომ კოალიციებთან მუშაობა ზოგადად დადებით შედეგებს იწვევს, გასული პრაქტიკის გაკვეთილები მოწმობს გარკვეული საერთო პრობლემების არსებობას, მათ შორის:

- კოორდინაციაში ჩადებული რესურსები და დრო;
- შეთანხმება პრიორიტეტებზე და როლების განაწილებაზე;
- კონსენსუსის მიღწევას შეიძლება შეეწიროს ზოგიერთი საკითხი.

ბრძოლა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ იაპონიაში

იაპონურ არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის (ERD Net) 2007 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც 2005 წელს იაპონიაში ვიზიტით იმყოფებოდა სპეციალური მომხსენებელი რასიზმის თანამედროვე ფორმების, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის და მსგავსი შეუწყნარებლობის საკითხებზე. დისკრიმინაციისა და რასიზმის ყველა ფორმის საწინააღმდეგო საერთაშორისო მოძრაობის (IMADR) მხარდაჭერით ERD Net-ი მუშაობს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (ICERD) შესრულებაზე იაპონიაში. ERD Net-მა იაპონიის შესახებ ალტერნატიული მოხსენება წარუდგინა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (ჩERD). 2010 წლის თებერვალში ERD Net-ის წარმომადგენლები ესწრებოდნენ კომიტეტის სხდომას. მათ ჩაატარეს ბრიფინგი კომიტეტისთვის. 2010 წლის აგვისტოსა და 2012 წლის ივნისს შორის პერიოდში CERD-ის დასკვნითი შენიშვნების საფუძველზე ERD Net-მა რიგი კონსულტაციები ჩაატარა მთავრობასთან და მოაწყო სამუშაო შეხვედრები პარლამენტის წევრებისთვის. “ამ საქმიანობებმა საშუალება მოგვცა, გაგვეუმჯობესებინა ადვოკატირების უნარები როგორც გაეროს, ისე შიდასახელმწიფო-ებრივ დონეზე. გარდა ამისა, მოხდა ჩვენი თანამშრომლობითი ურთიერთობების კონსოლიდირება,” განაცხადა ERD Net-ის წარმომადგენელმა. “ამ გამოცდილების საფუძველზე ჩვენ ასევე გადავწყვიტეთ, უფრო აქტიურად ვიმუშავოთ მედია საშუალებებთან. ცხადია, რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაპყრობენ მედია საშუალებები საერთაშორისო მექანიზმების მოსაზრებებს იაპონიაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებით, მით უკეთესი.”

4.8. პარტნიორობის დამყარება

რეაგირებაზე და ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულებაზე პარტნიორებთან ერთობლიობაში მუშაობა შეიძლება სტრატეგიული მნიშვნელობისა იყოს.

წარსული გამოცდილება აჩვენებს, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა პროცესებში მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ახალი პარტნიორობების შექმნის და ერთმანეთთან თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებს აჩენს. ამ შესაძლებლობების გამოყენება და ამ პარტნიორობებით მაქსიმალურად სარგებლობა კიდევ უფრო მეტი შედეგის მომტანი იქნება. პარტნიორობის შექმნისას აუცილებელია პარტნიორთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა იმისათვის, რომ საკითხები ყველა პერსპექტივიდან იქნას დანახული.

პარტნიორებთან მუშაობა სხვადასხვა დონეზე შეიძლება შედგეს: ერთს შეიძლება იგივე მიზნები ჰქონდეს, მეორეს შეიძლება რესურსები, სპეციალური უნარები ან კავშირების ფართო წრე გააჩნდეს, მესამე შეიძლება მთავარი პასუხისმგებლობის მატარებელი იყოს ან შეეძლოს მოვლენებზე გავლენის მოხდენა.

ძირითადი მოთამაშეების და იმის ამოცნობა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მათ, აგრეთვე შესაძლო რისკებისა და საფრთხეების გამოვლენა, აუცილებელია სტრატეგიის შემუშავებისთვის და როლების განსაზღვრისთვის. ქვემოთ ჩამოთვლილია არაამომწურავი სია იმ მოთამაშეებისა, რომლებთანაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება სხვადასხვა ფორმით დაამყარონ პარტნიორობა და ითანამშრომლონ:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები – სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა სფეროში, საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი გაერთიანებებიდან დაწყებული შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებით დამთავრებული;
- დონორები და დიპლომატიური საზოგადოება;

- მედია საშუალებები;
- პროფესიული კავშირები და გაერთიანებები;
- თემატური ჯგუფები;
- სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის პარლამენტი და შესაბამისი საპარლამენტო კომისიები;
- ადამიანის უფლებათა ეროვნული ორგანოები;
- საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები, მათ შორის გაეროს და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ადგილობრივი წარმომადგენლობები;
- აკადემიური დაწესებულებები; და
- ადამიანის უფლებათა მექანიზმები.

პარტნიორთა მობილიზება ნეპალში ბავშვის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით

ორგანიზაციამ Save the Children" სამოქალაქო საზოგადოების 138 ორგანიზაციას ჩაუტარა სწავლება საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის (სპგ) თაობაზე. მან ასევე მხარი დაუჭირა მოქმედი ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის წარდგენას და მათ კოორდინირებულ ადვოკატირებას შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე. ამ ღონისძიებების შედეგად, სპგ-ის მიერ მიღებული დოკუმენტი 34 რეკომენდაციას შეიცავს ბავშვის უფლებებზე, რომელთაგან ნეპალის ხელისუფლებამ 31 გაიზიარა.

"Save the Children"-ის სპგ-ზე რეაგირების სტრატეგია აგებული იყო ეროვნულ დონეზე არსებული სხვადასხვა მოთამაშეების მობილიზებაზე. კერძოდ, პარტნიორობაში შედიოდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ქსელები, ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია, საელჩოები და მე-

დია საშუალებები. აღნიშნული მოთამაშეები ჩართული იქნენ იმისათვის, რომ უფრო გაძლიერებულიყო სპგ-ის პროცესის შიდასახელმწიფოებრივი აქტუალობის შეგრძნება, გაზრდილიყო ჩართულობა და ანგარიშვალდებულება.

სპგ-მა გადამწყვეტი როლი შეასრულა ნეპალის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთი საერთო მიზნის ქვეშ გაერთიანებაში. ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საელჩოებთან ადვოკატირების მიზნით წარმოებული მაღალი დონის ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების პარალელურად მედია საშუალებებში გაშვებული იქნა ცნობიერების ამაღლების კამპანია. ამისათვის გამოყენებული იქნა როგორც სატელევიზიო ინტერვიუები, ისე ბეჭდური სტატიები თემაზე. ბავშვებთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოვლენასთან, როგორიცაა ბავშვთა უფლებების დღე, სპგ-ის თემის მიბმამ გაადვილდა მედია საშუალებების ყურადღების მოზიდვა.

ორგანიზაციამ "Save the Children", ბავშვის უფლებებზე ეროვნულ კოალიციებთან თანამშრომლობით, გადაწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ადამიანის უფლებათა ეროვნულმა კომისიამ სპგ-ის რეკომენდაციებზე მეთვალყურეობა და მათზე რეაგირება თავისი მოვალეობების ჩამონათვალში შეიტანა. ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია ის მთავარი ორგანიზაციაა, რომელიც ავტორიტეტულ და სანდო ინფორმაციას აწარმოებს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

რეაგირების კოორდინირებული ღონისძიებების შედეგად ნაწილობრივ შესრულებული იქნა სპგ-ის რეკომენდაცია 108.4, რომელიც მოითხოვს "ბავშვთა მიმართ პოლიტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, რასაც დიდი ხანია საზოგადოება ელოდება და ბავშვთა მზრუნველობის სახლებისთვის მინიმალური სტანდარტების შემოღებას". 2012 წელს მიღებული იქნა როგორც "ბავშვთა მიმართ პოლიტიკის ეროვნული დოკუმენტი", ისე ბავშვთა მზრუნველობის სახლების მოთხოვნათა ამომწურავი ჩამონათვალი. გარდა ამისა, კაბინეტმა მხარი დაუჭირა კანონს ბავშვის უფლებათა შესახებ.

პარტნიორებთან ერთობლივი მოქმედების სქემა ვიზუალურადაც შეიძლება იქნას წარმოდგენილი. მაგალითად, ზემოთ აღწერილი ნეპალის მაგალითი სქემატურად ასე გამოიყურება:

პარტნიორთა მობილიზება ნეპალში ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით



4.9. გავრცელება და ცნობიერების ამაღლება

ადამიანის უფლებათა მექანიზმების რეკომენდაციების და დასკვნების გავრცელება და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლება კარგი საშუალებაა სახელმწიფოთა წასახალისებლად, შეასრულონ ადამიანის უფლებათა ვალდებულებები.

ხშირ შემთხვევაში შესრულება შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ უფლების მქონე სულ უფრო მეტმა პირმა იცის თავისი უფლების შესახებ და ითხოვს მის განხორციელებას ანდა იმიტომ, რომ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა იციან, რა ღონისძიებების გატარება მოეთხოვებათ მათ ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესასრულებლად. ადამიანის უფლებათა არცოდნის ან ნაკლებად ცოდნის პრობლემის მოგვარება ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ამაღლების და ინფორმაციის გავრცელების გზით ეფექტური საშუალებაა შესრულების ხელშესაწყობად.

ადგილობრივ ენაზე თარგმნიდან დაწყებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თუ სხვა სოციალური საშუალებებით კამპანიების წარმოებით დამთავრებული, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სხვადასხვა ფორმითა და შემოქმედებითი მიდგომით ავრცელებენ ადამიანის უფლებათა მექანიზმების დასკვნებსა და რეკომენდაციებს. გავრცელების გეგმებში ყოველთვის უნდა იქნას შეტანილი მასალებისა და ინფორმაციის გავრცელება უნარშეზღუდულ ადამიანებში.

“ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონის” მეშვეობით წამების თავიდან აცილების ქვეკომიტეტის რეკომენდაციების გასაჯაროება ბრაზილიაში

2011 წელს პირველი ვიზიტისას წამების თავიდან აცილების ქვეკომიტეტმა (შPT) შეისწავლა ქვეყნაში არსებული მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის თვალსაზრისით. ამის შემდგომ ქვეკომიტეტმა ანგარიში წარუდგინა ბრაზილიის მთავრობას, რომელსაც თან ერთვოდა რეკომენდაციები ქვეყანაში წამების პრაქტიკასთან დაკავშირებით. წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის (OPCAT) თანახმად, ასეთი ანგარიში გასაჯაროვდება მხოლოდ მთავრობის სურვილის შემთხვევაში. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნისა, ანგარიში კონფიდენციალური რჩებოდა.

2012 წლის მაისში ბრაზილიამ მიიღო კანონი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. კანონის ძალაში შესვლის დღესვე ორგანიზაციამ “Conectas Direitos Humanos” (ჩონეცტას) განცხადებით მიმართ ბრაზილიის მთავრობას და მოითხოვა SPT-ს ანგარიშის გასაჯაროება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბრაზილიის მთავრობამ განცხადებას კანონით დადგენილ ვადაში უპასუხა და ადამიანის უფლებათა სამინისტროს ვებგვერდზე გამოაქვეყნა როგორც ანგარიში, ისე რეკომენდაციები, მათ შორის პორტუგალიურ ენაზე.

Conectas-ი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა SPT-ს ანგარიშის სახელმწიფო ენაზე გამოქვეყნებას. უამისოდ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ვერ შეძლებდნენ SPT-ს რეკომენდაციების შესრულებაზე მეთვალყურეობას. “გარდა ამისა, ეს იყო ფუნდამენტური ნაბიჯი ქვეყანაში წამების პრაქტიკის თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხითაც. იმ ფონზე, რომ ბრაზილიაში დამკვიდრებუ-

ლი წამების პრაქტიკა უშუალოდაა გამოწვეული ეფექტური პრევენციული მექანიზმების არარსებობით და დამნაშავეთა დაუსჯელობით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონი SPT-ს შეფასებების გაცნობის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. ახლა კი ყველა დაინტერესებულ პირს მიეცა წამებასთან ბრძოლის შესაძლებლობა," განაცხადა Conectas-მა.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სხდომის ინტერნეტ ტრასლაცია ირლანდიაში

2011 წელს ირლანდიის სამოქალაქო თავისუფლებების საბჭომ (ICCL) და ირლანდიის სისხლის სამართლის რეფორმის ტრასტმა (IPRT) მოამზადეს ერთობლივი ალტერნატიული ანგარიში, ვინაიდან ირლანდია პირველად უნდა წარმდგარიყო გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წინაშე თავისი მოხსენებით. წამების მსხვერპლთა საერთაშორისო რეაბილიტაციის საბჭოსთან (IRCTV) ერთად ICCL-მა და IPRT-მ პირველად მოაწყვეს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სხდომის ინტერნეტ ტრანსლაცია პირდაპირ ეთერში. ტრანსლაციას თვალს ადევნებდნენ როგორც ირლანდიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ისე სახელმწიფო ორგანოები.

"ჩვენ ფართო მასშტაბით გავავრცელეთ ალტერნატიული ანგარიში და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციები. გაგვაშუქა ყველა ძირითადმა გაზეთმა და რადიომ. პრაიმ ტაიმის დროს ეთერში გასულ საზოგადოებრივ საქმეთა შოუში გამოყენებული იყო ჩვენს მიერ ინტერნეტით ტრანსლირებული ირლანდიის მოხსენების განხილვის კადრები. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ირლანდიის საზოგადოებამ გაეროს სახელშეკრულებო ორგანო მოქმედებაში იხილა," განაცხადა ICCL-ის წარმომადგენელმა.

ირლანდიის გამოსვლამ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წინაშე და შედეგად გამოცემულმა რეკომენდაციებმა დადე-

ბითი ცვლილებები გამოიწვია ირლანდიაში. ციხის რეფორმა პოლიტიკური დონის საკითხად იქცა. შეიქმნა სისხლის სამართლის სტრატეგიის გადასინჯვაზე მომუშავე ჯგუფი[1]. რეკომენდაციების გამოცემიდან 12 თვეში კომიტეტმა მოითხოვა რეაგირება 4 კონკრეტულ რეკომენდაციაზე, მათ შორის იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფომ ეფექტურად არ გამოიძია მაგდალენას სამრეცხაოებში (თავშესაფარში) ქალების დაკავების საქმე. 2013 წლის თებერვალში გამოქვეყნდა **ოფიციალური მოხსენება**, რომელშიც საუბარი იყო სახელმწიფოს მონაწილეობაზე მაგდალენას სამრეცხაოების საქმეში.[2] ამის შემდეგ სახელმწიფომ ოფიციალურად მოუხადა ბოდიში მაგდალენას ქალებს. ამჟამად შემუშავების პროცესშია მათი რეაბილიტაციის გეგმა.

---

[1] სისხლის სამართლის სტრატეგიის გადასინჯვის ჯგუფი შექმნილია იუსტიციის, თანასწორობის და თავდაცვის მინისტრის მიერ. ჯგუფში შედის 12 ექსპერტი, რომლებიც წარმოადგენენ სასამართლო ხელისუფლებას, პოლიციას, პრობაციის სამსახურს და სასჯელაღსრულების სისტემას. ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრინციპებზე დაფუძნებული და მდგრადი სასჯელაღსრულების სისტემის

[2] მოხსენება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე **www.justice.ie** ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ირლანდიის საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **www.justice.ie**

ინტერნეტ ტრასლაცია (webcasting) და ვიდეოები

ადამიანის უფლებათა საბჭოს და საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის სხდომების ინტერნეტის მეშვეობით პირდაპირ ეთერში ტრანსლაციას და დაარქივებას ახდენს **გაეროს ვებ ტელევიზია**.[1] სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია სახელშეკრულებო ორგანოების სხდომების ჩაწერა და ინტერნეტის მეშვეობით ტრანსლირება. ყველა სახელშეკრულებო ორგანოს სხდომის ინტერნეტ ტრანსლაციის კოორდინირებას ახდენს ჟენევაში მდებარე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფი.

www.treatybodywebcast.org
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის მიერ შექმნილი მრავალი **ვიდეო** ხელმისაწვდომია კომისარიატის ვებგვერდზე და სოციალური მედიის მეშვეობით.[2]

4.10. ადვოკატირება

ადამიანის უფლებათა ადვოკატირებაში იგულისხმება კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა შესრულების გაუმჯობესებას. ადამიანის უფლებათა ადვოკატირებისას გზავნილი ეფექტურია, თუ ის **ამცნობს** ადამიანის უფლებათა მდგომარეობას და არსებულ პრობლემას და მიმართულია სხვათა **დარწმუნებაზე, რომ მოწოდება გადააქციოს მოქმედებად.**

---

[1] **http://webtv.un.org/**

[2] ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის სოციალური მედიის ხილვა შეიძლება მისამართზე **www.ohchr.org**

ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ეფექტური გზავნილის მახასიათებლებია:

- ეყრდნობა გადამოწმებულ ფაქტებს და ციფრებს;
- შეიცავს მაგალითებს რეალური, ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებიდან;
- მარტივი და ლაკონურია;
- ჩამოყალიბებულია სათანადო ენით (ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე მსჯელობა და არა პოლიტიკური რიტორიკა; შეურაცხმყოფელი ლექსიკის არგამოყენება);
- გაჟღერებულია ისეთი პირის მიერ, ვისაც ენდობიან;
- შეიცავს მკაფიო მოწოდებას მოქმედებისკენ;
- მორგებულია სამიზნე აუდიტორიაზე;
- მომზადებულია საპირისპირო არგუმენტებისთვის;

ადამიანის უფლებათა მექანიზმების მიერ მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები ჩამოთვლილთაგან რამდენიმე მახასიათებელს აკმაყოფილებენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასახელებენ და პრიორიტეტებად ალაგებენ ამ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომ ადვოკატირება უფრო ეფექტური გახდეს.

ტუნისში უნარშეზღუდულ პირთა არჩევნებში მონაწილეობის ადვოკატირება, ამ თემაზე ცნობიერების ამაღლება და მეთვალყურეობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის (ჩღPD) 2011 წლის რეკომენდაციები ტუნსთან დაკავშირებით შეიცავს რამდენიმე რეკომენდაციას ქვეყნის დემოკრატიული რეფორმირების შესახებ და მიზნად ისახავს უნარშეზღუდულთა მონაწილეობის უზრუნველყოფას ახალი კონსტიტუციის დაწერის პროცესში, აგრეთვე მათ მიერ საარჩევნო უფლების რეალიზებას და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას სხვებთან ერთად თანაბარ პირობებში.

ტუნისის უნარშეზღუდულთა უფლებების დაცვის ორგანიზაციამ (Organisation tunisienne de défense des droits des personnes handicapées – OTDDPH), რომელიც რევოლუციის შემდგომ პერიოდში შექმნილი უნარშეზღუდულთა ორგანიზაციაა, სხვადასხვა რეგიონში ჩაატარა საინფორმაციო სამუშაო შეხვედრები, რათა მოეწოდებინა უნარშეზღუდული პირებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მომავალ არჩევნებში. ორგანიზაციის რამდენიმე წევრს არჩევნებზე დამკვირვებლის ოფიციალური სტატუსი ჰქონდა, რაც OTDDPH-ს საშუალებას აძლევდა, პირადად ეწარმოებინა დაკვირვება 100-ზე მეტ საარჩევნო უბანზე, ქვეყნის მასშტაბით უბნებზე ხელმისაწვდომობის სტანდარტების არსებობის დადგენის, აგრეთვე არჩევნებში უნარშეზღუდულთა მონაწილეობის გაზომვის მიზნით.

ეროვნული დამფუძნებელი ყრილობის არჩევის შემდეგ, რომელსაც უნდა დაეწერა ტუნისის ახალი კონსტიტუცია, OTDDPH ადვოკატირებას აწარმოებდა დამფუძნებელ ყრილობაში იმ მიზნით, რომ უნარშეზღუდულთა უფლებები ასახულიყო კონსტიტუციაში. OTDDPH ადვოკატირების საფუძვლად იყენებდა კონვენციას უნარშეზღუდულ პირთა უფლებების შესახებ და უნარშეზღუდულ პირთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციებს. ამ საფუძვლით OTDDPH სიტყვით გამოდიოდა ყრილობის საკომიტეტო მოსმენებზე და მოლაპარაკებას აწარმოებდა

კომიტეტის ცალკეულ წევრებთან. მან კომიტეტს წარუდგინა უნარშეზღუდულ პირებთან დაკავშირებით კონსტიტუციაში შესატანი ნორმის პროექტი.
ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის მიერ შექმნილი მრავალი **ვიდეო** ხელმისაწვდომია კომისარიატის ვებგვერდზე და სოციალური მედიის მეშვეობით.[2]

დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ადვოკატირება გვატემალაში

გვატემალას მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლოს წევრების არჩევნების პერიოდში ქვეყანას სტუმრობდა სპეციალური მომხსენებელი მოსამართლეების და იურისტების დამოუკიდებლობის საკითხებზე. გენერალური პროკურორის არჩევის პროცესში, რომელიც მოსამართლეთა არჩევნების შემდეგ გაიმართა, ადვოკატირებისას სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად უთითებდა სპეციალური მომხსენებლის მიერ მომზადებულ ანგარიშზე, განსაკუთრებით რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხებოდა დამოუკიდებლობას, გამჭვირვალობას და პროფესიულ სრულყოფას. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობამ გვატემალაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების კრებულები დაურიგა, რომლებშიც შედიოდა სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციებიც. სამოქალაქო საზოგადოებამ ეს კრებულები გამოიყენა ადვოკატირების გასაძლიერებლად, როდესაც ის თავისი კანდიდატურების დასახელებას სთავაზობდა უფლებამოსილ კომისიებს. შედეგად კომისიებმა გენერალური პროკურორის პოსტზე ყველაზე კვალიფიციური კანდიდატები დაასახელეს. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აღნიშნული რეკომენდაციები გამოიყენეს თავიანთი მოთხოვნის დასასაბუთებლად, რომელიც ეხებოდა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისადმი დაკავშირებით ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას.

4.11. უნარიანობის ამაღლება და გაძლიერება

ადამიანის უფლებათა მექანიზმების მიერ მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება უთითებდეს მთელ რიგ ხარვეზებზე როგორც ხელისუფლების ორგანოებში, ისე სამოქალაქო საზოგადოებაში, რომლებიც ხელს უშლიან მათ ადამიანის უფლებათა შესრულებაში. ზოგჯერ რეკომენდაციებში არა მხოლოდ ხარვეზებია მითითებული, არამედ ისინი შეიცავს მოწოდებას ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად უნარიანობის ამაღლების საქმიანობების განხორციელებისკენ. ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეთ ამ ხარვეზების აღმოფხვრის ან შემცირების შესაძლებლობა. ზოგ ორგანიზაციას აქვს ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა სწავლება ჩაუტაროს როგორც სამოქალაქო საზოგადოებას, ისე სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს.

რეკომენდაციებში შეიძლება ასახული იყოს ის ხარვეზები, რომელთან დაკავშირებითაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უკვე აქვთ ჩატარებული უნარიანობის ამაღლების გარკვეული საქმიანობები. ამ შემთხვევაში რეკომენდაციები ხაზს უსვამენ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის მნიშვნელობას და მის როლს უნარიანობის ამაღლებაში. სხვა შემთხვევებში რეკომენდაციები შეიძლება ისეთ ხარვეზებზე უთითებდეს, რომლებიც არ არის შეტანილი რეაგირების არსებულ პროგრამებში. რეაგირების ღონისძიებებში ჩართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ უნარიანობის ამაღლების შემდგომი საქმიანობების მიზანშეწონილობა შემდეგნაირად უნდა შეაფასოს:

- შეაფასოს, რამდენად აქვთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უნარიანობის ამაღლების ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა საჭირო ცოდნის, რესურსების არსებობის და მოსალოდნელი შედეგის თვალსაზრისით. გააანალიზოს, უნარიანობის ამაღლების ახალი ღონისძიებები დაემთხვევა თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრიორიტეტებს და სამოქმედო გეგმებს;

- ჩაატაროს სამიზნე დაწესებულებების და ორგანიზაციების საჭიროებების შეფასება, მათ შორის რამდენად აქვთ მათ ადამიანის უფლებათა შესრულების გაუმჯობესების მიზნით უნარიანობაში ხარვეზების გამოსწორების სურვილი; და
- გაითვალისწინონ უნარიანობის ამაღლების სხვა პროგრამებთან დამთხვევა, რა დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია ახალ ღონისძიებებს, მათი გავლენა და შედეგების მდგრადობა.

გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფო ორგანოებიც და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც ხშირად გახსნილი არიან უნარიანობის ამაღლების პროგრამებისთვის, თუმცა ეს ავტომატურად სასურველი შედეგების მომტანი ვერ იქნება. ხარვეზების სათავე შეიძლება იყო მდგომარეობის შეცვლის სურვილის არქონა, ბენეფიციარების სწრაფი ცვლილება, უნარიანობის ამაღლების ღონისძიებების შეზღუდულობა (მაგალითად, მოსალოდნელი შედეგების არამდგრადობა, გაუკრვეველი მიზნები, ბენეფიციარების ცოდნის დონეებში მნიშვნელოვანი სხვაობა) ან ამ ფაქტორების კომბინაცია. აღნიშნული რისკები გულდასმით უნდა შეფასდეს უნარიანობის ამაღლების პროგრამების შემუშავებისას, ხოლო შედეგების შეფასებისას უნდა გაიზომოს მათი გავლენა.[1]

[1] ადამიანის უფლებათა სწავლების შეფასებასთან დაკავშირებით იხილეთ "ადამიანის უფლებათა სასწავლო ღონისძიებების შეფასება" (გაეროს გამოცემა, HR/P/PT/18)

კოტ დ'ივუარის ძალოვანი სტრუქტურების სწავლება და უნარიანობის ამაღლება სქესობრივ ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით

2009 წელს კოტ დ'ივუარში საყოველთაო პერიოდული განხილვის ჩატარების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციამ "SOS Exclusion" ამ მექანიზმის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიციისა და სამხედრო ძალების უნარიანობის ამაღლებას ადამიანის უფლებათა სფეროში. "ჩვენ ორი სამუშაო შეხვედრა ჩავატარეთ საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის ფარგლებში ქალთა უფლებებთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციებზე," განმარტა ორგანიზაციის თავმჯდომარემ. "ამან საშუალება მოგვცა, ამ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა გადაგვემოწმებინა ისეთ ძირითად აქტორებთან, როგორიცაა სოლიდარობის, ოჯახის, ქალების და ბავშვების საკითხთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და გაეროს ქალები." აღნიშნულის შემდეგ მოეწყო საზოგადოების მობილიზაციის კამპანია სქესობრივი ძალადობის წინააღმდეგ, რაც საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის ერთ-ერთი რეკომენდაციის თემა გახლდათ. "ამ კამპანიის ფარგლებში ჩვენ ერთად მოვუყარეთ თავი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რელიგიურ ლიდერებს, სოლიდარობის სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებას, სადაც კამპანია ტარდებოდა."

4.12. გენდერული კომპონენტის შეტანა რეაგირების საქმიანობებში

რეაგირების ღონისძიებების **პრიორიტეტებად დალაგებისას** შემდეგი კითხვები დაგეხმარებათ გენდერის კომპონენტის შეტანაში:

- პრიორიტეტებად დასახული რეკომენდაციები და მასთან დაკავშირებით დაგეგმილი რეაგირების ღონისძიებები უფრო ქალებს ეხება თუ მამაკაცებს?
- როგორ არის გათვალისწინებული გენდერის კომპონენტი პრიორიტეტად მიჩნეულ მოქმედებებში? გენდერზე ორიენტირებული საქმიანობების სახით (გენდერ specific activities) თუ გენდერისადმი კომპლექსური მიდგომით (gender mainstreaming)?
- უფლების მქონეთა გარკვეული ჯგუფის წინააღმდეგ ხომ არ ხორციელდება სხვადასხვაგვარი დისკრიმინაცია? რეაგირების საქმიანობებში მოხდება მათი მდგომარეობის გათვალისწინება?
- არის თუ არა მიმართული დაგეგმილი საქმიანობები უფლების მქონეთა გაძლიერებაზე და გენდერული დისკრიმინაციის და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაზე?
- ჩარევის ღონისძიებების პრიორიტეტებად დალაგება მოხდა თუ არა უფლების მქონე სხვადასხვა ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ?

რეაგირების საქმიანობების **განხორციელებისას:**

- შეაგროვეთ და ანგარიშში შეიტანეთ მონაცემები, რომლებიც ჩაშლილი იქნება სქესის და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, უნარშეზღუდულობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა;

- თუ ინფორმაცია გენდერის მიხედვით არ მოიპოვება, ამ ხარვეზის შესახებ პირდაპირ განაცხადეთ ანგარიშში;
- ღონისძიებების, სწავლების და უნარიანობის ამაღლების საქმიანობების ორგანიზებისას უზრუნველყავით მონაწილეთა და მასწავლებელთა ან რესურს პირთა გენდერული ბალანსი, გენდერულად დაბალანსებული გარემო (შეკრების ადგილი და დრო), გენდერულად დაბალანსებული შინაარსი და მეთოდები;
- ჩაატარეთ სისტემატური გენდერული ანალიზი;
- იმუშავეთ გენდერულ ბალანსის მხედველობაში მიმღებ პარტნიორებთან;
- ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების საქმიანობებში შეიტანეთ გზავნილები გენდერული თანასწორობის შესახებ და გამოიყენეთ გენდერულად დაბალანსებული ტერმინები და გამოსახულებები.

4.13. ჩართულობის, მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის გათვალისწინება

რეაგირების საქმიანობების დაგეგმვისა და განხორციელებისას

- საქმიანობებში ჩართეთ დაინტერესებულ პირთა მრავალფეროვანი სპექტრი;
- უზრუნველყავით, რომ მოსმენილი იქნას სხვადასხვა თვალსაზრისი და მოხდეს მათი ასახვა რეაგირების საქმიანობებში;
- განიხილეთ სხვადასხვა წრის ადამიანებისთვის მონაწილეობის მიცემის შესაძლებლობა, როგორიც არიან უმცირესობები და უნარშეზღუდული პირები. მიიღეთ ზომებით, რომ დოკუმენტები და რესურსები ხელმისაწვდომი იყოს უნარშეზღუდული პირებისთვის.

4.14. რეკომენდაციების გამოყენება სამართალწარმოებაში

სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაცია დახმარებას უწევს ფიზიკურ პირებს და პირთა ჯგუფებს, რომლებიც თავიანთ უფლებებს სასამართლო ან კვაზისასამართლო მექანიზმების გამოყენებით იცავენ შიდასახელმწიფოებრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. ეს დახმარება შეიძლება მოიცავდეს მოსარჩელეებისთვის იურიდიული დახმარების გაწევას, იურიდიული დასკვნების მომზადებას, მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და პრაქტიკოსი იურისტების მიერ ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების უნარიანობის ამაღლებას ან მოწოდებას აქტივისტების და სასამართლოების მისამართით, რომ მათ გამოიყენონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.

შიდასახელმწიფოებრივ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენებამ და გამოყენებისკენ მოწოდებამ შეიძლება გაამყაროს ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართალი. მაგალითად, სახელშეკრულებო ორგანოების მიერ მომზადებულ ზოგად კომენტარებში გაკეთებული ხელშეკრულების ნორმების განმარტებები აზუსტებენ კონკრეტული უფლების შინაარსს და მისგან გამომდინარე გარემოებებს; ასეთი განმარტებებით შეიძლება ისარგებლონ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას. ასევე, მოსარჩელეებსაც შეუძლია მითითონ ადამიანის უფლებათა მექანიზმების მიერ გამოცემულ რეკომენდაციებზე თავიანთი მოთხოვნების დასაბუთებლად.

საერთაშორისო დასახელებით გამოშვებული მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნა კენიაში

2012 წლის 20 აპრილს კენიის უმაღლესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში რადიკალურად ახლებურად შეაფასა 2008 კონტრაფაქციის საწინააღმდეგო კანონის დებულებები და განაცხადა, რომ მათი მოქმედება არ ვრცელდებოდა საერთაშორისო დასახელებით გამოშვებულ მედიკამენტებზე (ე.წ გენერიკულ მედიკამენტებზე), რითაც დაიცვა იაფი მკურნალობის უფლება. სარჩელის ავტორი იყო აივ ინფექციით მცხოვრები სამი პირი. მოსარჩელეთა მთავარ იურისტს კვლევითი სამუშაოების ჩატარების ნაწილში დახმარებას უწევდა ორგანიზაცია "KELIN" – ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს იმუნოდეფიციტის ვირუსთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დაცვასა და განვითარებაზე აღმოსავლეთ აფრიკაში. სარჩელში, რომელზეც წარმოება 2009 წლიდან მიმდინარეობდა, გასაჩივრებული იყო 2008 წლის კონტრაფაქციის საწინააღმდეგო კანონის ის დებულებები, რომლებიც კრძალავდა საერთაშორისო დასახელებით გამოშვებული მედიკამენტების შემოტანას, მათ შორის აივ ინფექციით მცხოვრები ადამიანებისთვის ანტირეტროვირუსული მედიკამენტების (ARV) შემოტანას. ჯანდაცვის უფლებაზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სასამართლოს მეგობრის სტატუსით სასამართლოს წარუდგინა თავისი მოსაზრება, რომლის დიდი ნაწილი ციტირებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

ქალბატონმა მოსამართლე ნგუგიმ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება ვერ დადგება კენიის კონსტიტუციით განმტკიცებულ სიცოცხლის უფლებაზე, ჯანდაცვის უფლებაზე და ადამიანური ღირსების უფლებაზე უფრო მაღლა. აქედან გამომდინარე, პატენტის მფლობელები აღნიშნული კანონის გამოყენებით ვერ მოახდენენ საერთაშორისო დასახელებით გამოშვებული მედიკამენტების იმპორტის დაბლოკვას, რის გამოც შეშფოთებული იყვნენ მოსარჩელეები.[1]

---

[1] გადაწყვეტილება იხილეთ მისამართზე **http://bit.ly/L1cEu5** (ბოლოს ნანახია 2013 წლის 24 ივლისს)

4.15. რეაგირების საქმიანობების შედეგების და დადებითი პრაქტიკის გაზიარება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს და მასთან დაკავშირებულ მექანიზმებს შეიძლება აღიქვამდნენ, როგორც უფლების მქონე პირებისგან მოშორებულ რეალობას. როგორ შეიძლება ჟენევაში მყოფი დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოცემულმა რეკომენდაციებმა გავლენა მოახდინონ ჩვეულებრივი ადამიანების ცხორებაზე? როგორ შეიძლება მათ გავლენა მოახდინონ ვალდებულ პირთა ქცევაზე, რომლებმაც შეიძლება არც კი იცოდნენ, რა არის სახელშეკრულებო ორგანო ან რას საქმიანობს სპეციალური მომხსენებელი? მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცვლილებები შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც – უმრავლეს შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების მიერ ჩატარებული რეაგირების სამუშაოების შედეგად.

რეაგირების საქმიანობების და დადებითი პრაქტიკის დოკუმენტირებამ, გაზიარებამ და გავრცელებამ სხვებშიც შეიძლება გამოიწვიოს სურვილი, თავადაც ჩაერთონ, მაგალითი აიღონ და არსებული გამოცდილება თავიანთ გარემოებებსა და პრიორიტეტებს მიუსადაგონ. ადამიანის უფლებათა მექანიზმების მიერ მოხდენილ გავლენაზე მიღებული უკუკავშირი ძალეზე სასარგებლოა ამ მექანიზმებში მომუშავე ექსპერტებისთვისაც.

აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში პაციენტთა დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა სასამართლო წესით დაცვასთან დაკავშირებით რესურსების და პრაქტიკის გაზიარება

პროექტის "ადამიანის უფლებები პაციენტთა დაცვის სფეროში" ფარგლებში მიმდინარეობს ქვეყნის საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკოსთა გზამკვლევის შემუშავება იმ იურისტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან პაციენტების დასაცავად ადამიანის უფლებათა სასამართლო წესით დაცვით. ეს გზამკვლევები პრაქტიკული გამოყენებისთვისაა გათვალისწინებული და შეიცავენ ინფორმაციას როგორც სასამართლო, ისე ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესახებ, როგირიცაა ომბუცმენი და სამედიცინო ლიცენზირების ორგანოები. გზამკვლევებში განმარტებულია პაციენტების და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების უფლებები და მოვალეობები ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, აგრეთვე საერთაშორისო-სახელშეკრულებო ორგანოების პრეცედენტული სამართალი და სპეციალური პროცედურების მექანიზმების დასკვნები.

პროექტთან დაკავშირებით შექმნილია პრაქტიკის გაზიარების ინტერნეტ ფორუმი, რომლის მეშვეობითაც პრაქტიკოსთა საზოგადოება ერთმანეთს უზიარებს მასალებს და რესურსებს. პრაქტიკის გაზიარება ხდება სამ სფეროში: სამართალი და ჯანდაცვა, ადამიანის უფლებები პაციენტთა დაცვის სფეროში და მედია საშუალებები.[1]

[1] http://health-rights.org/

4.16. რეაგირების არსებული პროცედურების და ადამიანის უფლებათა მექანიზმების პრაქტიკის გამოყენება

ადამიანის უფლებათა მექანიზმების რეაგირების პროცედურები და პრაქტიკა ეყრდნობა როგორც მთავრობებთან თანამშრომლობას, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობას. გზამკვლევის მომდევნო ნაწილში განხილულია რეაგირების არსებული პროცედურები და პრაქტიკა.

5. რეაგირების პროცედურები და ადამიანის უფლებათა მექანიზმები

ადამიანის უფლებათა მექანიზმების მთავარი ინტერესი და მიზნებია ადამიანის უფლებათა რეკომენდაციებით გამოწვეული ცვლილებების შეფასება, ამ მექანიზმების მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შემოწმების შემდეგ მომხდარი მოვლენების შესწავლა და გაეროს ადამიანის უფლებათა სტრუქტურის ადგილზე გავლენის გაანალიზება. შექმნის დღიდანვე გაეროს ადამიანის უფლებათა თითოეული მექანიზმი აცნობიერებს, რომ მათი საქმიანობის შედეგიანობა დამოკიდებულია მათ მიერ პოზიტიური ცვლილების განხორციელებაზე ან გამოწვევაზე. პოზიტიური ცვლილების დამადასტურებელი მტკიცებულება ამ მექანიზმების ეფექტურობის დამადასტურებელი მტკიცებულებაა. "მტკიცებულებათა ძიების" პროცესში თითოეულმა მექანიზმმა განავითარა რეაგირების სხვადასხვა ფორმა. ზოგიერთი მათგანი ოფიციალურადაა ასახული დადგენილ პროცედურებში როგორიცაა, მაგალითად, ზოგიერთი სახელშეკრულებო ორგანოს დასკვნით შენიშვნებზე რეაგირების პროცედურა. სხვები დამკვდირებულია თანმიმდევრული პრაქტიკით, მაგალითად, ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ სპეციალური მომხსენებლების მიერ შედგენილი ანგარიშები რეაგირების შესახებ. გარდა ამისა, რეაგირების ღონისძიება შეიძლება დაიგეგმოს ცალკეული ღონისძიების სახითაც მაგალითად, შეიძლება მოეწყოს სპეციალური რეგიონული სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მოხდება ადამიანის უფლებათა რეკომენდაციებთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება. მომდევნო ნაწილებში აღნიშნული შესაძლებლობები უფრო დეტალურადაა აღწერილი.

5.1. ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოები

დასკვნით შენიშვნებზე რეაგირების პროცედურები

სახელშეკრულებო ორგანოებს დადგენილი აქვთ პროცედურები, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებს ეხმარება რეაგირების მოხდენაში იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ამ ორგანოებმა გამოთქვეს ინდივიდუალური საჩივრის განხილვის შედეგად მიღებულ დასკვნით შენიშვნებსა და გადაწყვეტილებებში. ყველა სახელშეკრულებო ორგანო სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა შესრულებასთან დაკავშირებულ თავიანთ პერიოდულ ანგარიშებში შეიტანონ ინფორმაცია ამ რეკომენდაციებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტს (ჩAT), რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (ჩERD), ადამიანის უფლებათა კომიტეტს (HR Committee), ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (ჩEDAW) და იძულებითი გაუჩინარების საკითხთა კომიტეტს (ჩED) რეაგირების ოფიციალური პროცედურები აქვთ. თავიანთ დასკვნით შენიშვნებში ხუთივე სახელშეკრულებო ორგანო, როგორც წესი, ითხოვს, რომ სახელმწიფოებმა ერთი წლის ვადაში (ჩEDAW-ს შემთხვევაში – ორი წლის ვადაში) მოახსნონ ამ ორგანოებს, თუ რა ღონისძიებები გაატარეს მათ კონკრეტული რეკომენდაციების შესასრულებლად ან სწრაფად გადასაჭრელი "პრიორიტეტული პრობლემების" (პრიორიტყ concerns) აღმოსაფხვრელად. ეს კომიტეტები რეაგირების მიზნით ნიშნავენ მომხსნებელს ან კოორდინატორს, რომელიც აფასებს მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშებს რეაგირების შესახებ და წარუდგენს მათ ამ კომიტეტებს. სახელშეკრულებო ორგანოების ზოგიერთი წევრი ზოგჯერ საკუთარი ინიციატივით ეწვევა მონაწილე სახელმწიფოს, სახელმწიფოს მიერ წარდგენილ ანგარიშზე და დასკვნითი შენიშვნების შესრულებაზე რეაგირების მიზნით.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა კომიტეტს, მას შემდეგ, რაც კომიტეტი მიიღებს რეაგირების შესახებ ანგარიშს მონაწილე სახელმწიფოსგან, რეაგირების სფეროში დანიშნული

სპეციალური მომხსენებელი განხილვის ყოველ სესიაზე ამზადებს მოხსენებას მიღწეული პროგრესის შესახებ, რომელშიც შეჯამებულია მონაწილე სახელმწიფოს რეაგირების მოხსენება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თუ სხვა წყაროების მიერ წარდგენილი ინფორმაცია. გარდა ამისა, სპეციალური მომხსენებლის მოხსენება შეიცავს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე კომიტეტის მიერ გაკეთებულ შეფასებას (იხილეთ ცხრილი ქვემოთ). ამის შემდეგ კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოს აცნობებს მის რეაგირების ანგარიშთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას. თუ მონაწილე სახელმწიფო არ ითანამშრომლებს რეაგირების პროცედურის ფორმატში ან გაატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, სპეციალურ მომხსენებელს შეუძლია ითხოვოს მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენელთან შეხვედრა.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ რეაგირების შეფასების კრიტერიუმები

პასუხი/ქმედება დამაკმაყოფილებელია

A პასუხი უმეტესწილად დამაკმაყოფილებელია

პასუხი/ქმედება ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია

B1 ძირითადი ქმედება განხორციელებულია, მაგრამ საჭიროა დამატებითი ინფორმაცია

B2 თავდაპირველი ქმედება განხორციელებულია, მაგრამ საჭიროა დამატებითი ინფორმაცია

პასუხი/ქმედება არადამაკმაყოფილებელია

C1 პასუხი მიღებულია, მაგრამ განხორციელებული ქმედებით რეკომენდაცია არ შესრულებულა

C2 პასუხი მიღებულია, მაგრამ ის არ პასუხობს რეკომენდაციას

კომიტეტთან თანამშრომლობა არ შედგა

D1 პასუხი არ არის მიღებული დადგენილ ვადაში ან ანგარიშში მითითებულ რომელიმე კითხვაზე პასუხი გაცემული არ არის

D2 პასუხი არ არის მიღებული შეხსენების (შეხსენებების) მიუხედავად

მიღებული ზომები ეწინააღმდეგება კომიტეტის რეკომენდაციებს

E პასუხის მიხედვით, მიღებული ზომები წინააღმდეგობაში მოდის კომიტეტის რეკომენდაციებთან

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

ისევე, როგორც მონაწილე სახელმწიფოს ანგარიშებისა და საკითხთა ჩამონათვალის განხილვისას ხდება "ალტერნატიული ანგარიშების" წარდგენა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს რეაგირების პროცედურის ფარგლებშიც შეუძლიათ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია წარუდგინონ კომიტეტს. წარდგე-

ნილი ინფორმაცია უნდა ეხებოდეს კონკრეტულად იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მითითებულია რეაგირების პროცედურისთვის გაკეთებულ დასკვნით შენიშვნებში. წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე,[1] ეხებოდეს ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს და ახდენდეს ამ ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებას. თუ სახელმწიფომ არ გაატარა რეკომენდაციის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები, ინფორმაციაში ამის შესახებაც უნდა აღინიშნოს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ კომენტარი გააკეთონ სახელმწიფოს მიერ კომიტეტისთვის გაცემულ პასუხზე. რეაგირების პროცედურის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის წარდგენა რეგულირდება იმავე წესებით, რითაც მონაწილე სახელმწიფოს ანგარიშებისა და საკითხთა ჩამონათვალის განხილვისას ინფორმაციის წარდგენა. ეს ინფორმაცია საჯაროა და ქვეყნდება ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ვებგვერდზე. მაგრამ წარმდგენი ორგანიზაციის თხოვნით, წარდგენილი ინფორმაცია დარჩება კონფიდენციალური.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების გამოყენება ეროვნულ დონეზე

ბავშვის უფლებათა კომიტეტისადმი (ჩღჩ) ანგარიშგების პროცესისადმი ციკლური მიდგომის მხარდაჭერის და ადვოკატირების საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების მიერ CRC-ის რეკომენდაციების სრულად გამოყენების წახალისების მიზნით, ორგანიზაციამ „Human Rights Connect" შეადგინა კაზუსების კრებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულებების მიერ განხორციელებულ რეაგირების საქმიანობების მიხედვით.[2]

---

[1] ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) პრაქტიკის მიხედვით, წარდგენილი ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 3500 სიტყვას.

[2] **www.childrightsnet.org/NGOGroup/CRC/FollowUp/**

სახელშეკრულებო ორგანოების წევრებსაც შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებში რეგიონულ, ქვერეგიონულ და ეროვნულ დონეზე, რომლებიც ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ, გაეროს დაწესებულებების და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) მიერ ან მთავრობების მიერ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ ასეთ შეხვედრებში.

წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ვიზიტები რეაგირების ფორმატში

წამების პრევენციის ქვეკომიტეტი (შPT), რომელიც 2007 წელს შეიქმნა წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე, ახორციელებს ფაქტების დამდგენ ვიზიტებს მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ტიპის დაკავების ადგილებში და თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში, მათ შორის პოლიციის განყოფილებებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში და სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში. ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ ქვეკომიტეტი თავის რეკომენდაციებს და შენიშვნებს უგზავნის შესაბამის სახელმწიფოს, კონფიდენციალური ანგარიშის სახით.

თუ SPT საჭიროდ ჩათვლის, ჩვეულებრივი ვიზიტის შემდეგ მას შეუძლია დამატებით ითხოვოს რეაგირების მიზნით მოკლე ვიზიტის განხორციელება. 2010 წლის სექტემბერში SPT-მ რეაგირების პირველი ვიზიტი განახორციელა პარაგვაიში. ამ ვიზიტში მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო საზოგადოებამაც.

რეაგირება ინდივიდუალურ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე

გარკვეული პირობების არსებობისას, ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოებს შეუძლიათ განიხილონ ინდივიდუალური საჩივარი ანუ შეტყობინება.[1] ამ პროცედურის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ მის მიმართ დაირღვა კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლება, უფლება აქვს, სახელშეკრულებო ორგანოში შეიტანოს საჩივარი იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არის ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარე და რომელმაც აღიარა სახელშეკრულებო ორგანოს მიერ ფიზიკური პირებიდან შემოსული საჩივრების განხილვის უფლებამოსილება. თავდაპირველად მოწმდება საჩივრის დასაშვებობა. თუ საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული, მას სახელშეკრულებო ორგანო არსებითად განიხილავს იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დაირღვა თუ არ დაირღვა ხელშეკრულების ნორმა. თუ სახელშეკრულებო ორგანო დაადგენს, რომ მომჩივნის მიმართ დარღვეულია ხელშეკრულების ნორმა, იგი სახელმწიფოს სთხოვს, როგორც წესი, ექვსი თვის ვადაში, წარუდგინოს ამ ორგანოს ინფორმაცია გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. სახელმწიფოს პასუხი ამ თხოვნაზე გადაეცე-

---

[1] 2013 წლის ივლისის მდგომარეობით, ასეთი პროცედურა დაწესებულია შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებებით: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენცია წამების წინააღმდეგ, კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და კონვენცია უნარშეზღუდული პირების შესახებ. ასეთივ პროცედურა შევა ძალაში ყველა მიგრანტი მუშაკის და მათი ოჯახი წევრების უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის და ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, როდესაც 10 მონაწილე სახელმწიფო გააკეთებს საჭირო განცხადებას მიგრანტთა კონვენციის 77-ე მუხლის მიხედვით და მოახდენს ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიკაციას.

მა მომჩივანს, რომელსაც უფლება აქვს, გამოთქვას თავისი შენიშვნები სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე.

ზოგიერთ სახელშეკრულებო ორგანოს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტს, წამების საწინააღმდეგო კომიტეტს (ჩAT), რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (ჩERD) და ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (ჩEDAW) შემოღებული აქვთ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცედურები. ეს პროცედურები ითვალისწინებს მომხსენებლის დანიშვნას, რომელსაც ევალება გადაწყვეტილებების შესრულებაზე რეაგირება. მომხსენებლები ინიშნებიან გარკვეული ვადით ან, CEDAW-ს შემთხვევაში, გარკვეულ შემთხვევაზე რეაგირების მიზნით. თუ სახელმწიფოს პასუხი გადაწყვეტილებების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ არადამაკმაყოფილებელია ან არასრულყოფილია, მომხსენებელს შეუძლია გამართოს კონსულტაციები შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, როგორც წესი, ჟენევაში ან ნიუ იორკში მდებარე სახელმწიფოს მუდმივმოქმედი მისიების დიპლომატებთან.

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

თუ ინდივიდუალური საჩივრის განხილვის პროცესში ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (მაგალითად, ისინი მომჩივანს ეხმარებოდნენ საჩივრის შეტანაში), მათ შეუძლიათ მიაწოდონ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად სრულდება გამოტანილი გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა გადაწყვეტილებების შესრულების შეფასება

2010 წელს ორგანიზაციამ "ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივა" გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით "გადაწყვეტილებიდან მართლმსაჯულებამდე – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული გადაწყვეტილებების შესრულება". ანგარიშში გამოკვლეულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ორგანოების, კერძოდ, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების, აფრიკული, ევროპული და ინტერამერიკული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემატიკა. ანგარიშში ნათქვამია, რომ მიუხედავად ბოლო 25 წლის მანძილზე არსებული მიღწევებისა, პრობლემად რჩება ამ ორგანოების ვერდიქტის მიერ ცვლილებების მოხდენა უშუალოდ ადგილზე. ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვანი წესების დამდგენ გადაწყვეტილებებს არ გამოუწვევიათ შედეგიანი რეფორმა.

სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულების ანალიზის საფუძველზე ანგარიშში გაკეთებულია დასკვნა, რომ "ზოგადად, წარმატებით შესრულებას ადგილი ჰქონდა მაღალი პოლიტიკური აქტუალობის საქმეებისა და ისეთი საქმეების შემთხვევაში, რომლებიც აღძრული იყო კანონის უზენაესობის ხანგრძლივი ტრადიციების მქონე სახელმწიფოების წინააღმდეგ. შესრულება ხდებოდა, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში ერთვებოდა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც შეეძლო კომიტეტის რეაგირების საქმიანობების გამყარება ადგილზე დამატებითი ღონისძიებებით და ჰქონდა სხვა ადგილობრივი საშუალებებით ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობა."

5.2. ადამიანის უფლებათა საბჭო

რეაგირება ადამიანის უფლებათა საბჭოს საქმიანობაზე

გენერალური ასამბლეის 60/251 რეზოლუციის მიხედვით, რომლითაც ადამიანის უფლებათა საბჭო შეიქმნა, დადგენილია, რომ საბჭოს მუშაობის მეთოდები უნდა იძლეოდეს **რეკომენდაციებზე და მათ შესრულებაზე რეაგირების მიზნით დისკუსიების გამართვის შესაძლებლობას**.

მის წარმოებაში მყოფ ადამიანის უფლებათა საკითხებზე საბჭო რეაგირებას ახდენს შემდეგი გზებით:

- მის მიერ მიღებულ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში პირდაპირ უთითებს რეაგირების თაობაზე. რეზოლუციებში, როგორც წესი, ნათქვამია, რომ საბჭო "რჩება საკითხით დაინტერესებული". ეს ნიშნავს, რომ საბჭოს მომავალ სხდომაზე ეს საკითხი კვლავ გახდება მსჯელობის საგანი.

- დღის წესრიგში მყოფ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც განმეორებით იქცევა მსჯელობის საგნად, საბჭო ატარებს როგორც მორიგ, ისე რიგგარეშე განხილვის სხდომებს. ცხადია, როგორც წესი, საკითხები მორიგ სხდომაზე განიხილება, მაგრამ იმავე და მსგავს საკითხზე შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე სხდომა (მაგალითისთვის შეიძლება დასახელდეს სირიის არაბულ რესპუბლიკაში 2011 და 2012 წლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებით მოწვეული რიგგარეშე სხდომები).

- თავის მექანიზმებს, მათ შორის სპეციალური პროცედურების მექანიზმს, დამხმარე ორგანოებს ან ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარიატს ავალებს გარკვეული ზომების გატარებას და მომავალ სხდომაზე ანგარიშის ჩაბარებას გაწეული სამუშაოების შესახებ. საბჭოს შეუძლია სპეციალური მექანიზმის შექმნაც, როგორიცაა,

მაგალითად, მომკვლევი კომისია ან ფაქტების დამდგენი მისია, რომელსაც დაევალება ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება და ანგარიშის სახით დასკვნების განსახილველად წარდგენა საბჭოსთვის. სხვა ტიპიური დავალებები, რომელიც საბჭომ შეიძლება მისცეს ასეთ მექანიზმებს, შეიძლება გულისხმობდეს გარკვეული კვლევის ჩატარებას, ექსპერტთა შეხვედრის ორგანიზებას ან კოლეგიის შექმნას.

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

ზემოთ აღწერილი რეაგირების მოდალობები საბჭოს მუშაობის სტანდარტული მეთოდებია. ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მოდალობებიც იგივეა. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობენ, შეუძლიათ წარადგინონ წერილობითი და ზეპირი ინფორმაცია, ასევე ორგანიზება გაუკეთონ გვერდით ღონისძიებებს (სიდე events). არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც არ ჩადიან ჟენევაში ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, შეუძლიათ დღის წესრიგის პუნქტებთან დაკავშირებით ზეპირი ინფორმაცია წარადგინონ ვიდეო შეტყობინების სახით. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის "სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის: გაეროს ადამიანის უფლებათა პროგრამაზე მუშაობა" და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის პრაქტიკული გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისთვის ადამიანის უფლებათა საბჭოსთან დაკავშირებით"[1], აგრეთვე ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ვებგვერდები.[2]

---

[1] ხელმისაწვდომია მისამართზე
www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/CivilSociety.aspx

[2] **www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/Pages/NgoParticipation.aspx**

გარდა წერილობითი და ზეპირი ინფორმაციის წარდგენისა და გვერდითი ღონისძიებების ორგანიზებისა, მიღებულ პრაქტიკად ითვლება, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებას მიიწვევენ კვლევაში მონაწილეობის მისაღებად ან საბჭოს მიერ ორგანიზებულ ექსპერტთა შეხვედრებში და კოლეგიებში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩაერთონ ღია ტიპის არაფორმალურ შეხვედრებში, რომლებიც პარალელურად იმართება საბჭოში და რომლებზეც მსჯელობენ რეზოლუციების პროექტებზე.

დაბოლოს, საბჭოს რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში ასახულია სახელმწიფოთა ვალდებულება, დაიცვან და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებებს. აქაც, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია საბჭოს რეზოლუციებში და გადაწყვეტილებებში ასახული მათთვის საინტერესო ადამიანის უფლებათა ვალდებულებები დაალაგოს, პრიორიტეტებად დაახარისხოს და მიიღოს ზომები მათი შესრულების მოსათხოვად.

დამხმარე ორგანოები, მექანიზმები და მანდატები

რეკომენდაციების დიდ ნაწილს გამოსცემენ საბჭოს დამხმარე ორგანოები და მექანიზმები, როგორიცაა:

- საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმი (იხ. წინამდებარე გზამკვლევის ნაწილი 5.4);
- ადამიანის უფლებათა საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტი;
- საჩივრების პროცედურა;
- სპეციალური პროცედურების მექანიზმი (იხ. წინამდებარე გზამკვლევის ნაწილი 5.3);
- სოციალური ფორუმი;
- ფორუმი უმცირესობათა საკითხებზე;

- ექსპერტთა მექანიზმი მკვიდრი მოსახლეობის საკითხებზე; და
- ფორუმი ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე.

მეტი ინფორმაციისთვის იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანოების მუშაობაში, იხილეთ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის "სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის: გაეროს ადამიანის უფლებათა პროგრამაზე მუშაობა", "პრაქტიკული გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისთვის ადამიანის უფლებათა საბჭოსთან დაკავშირებით" და "პრაქტიკული გზამკვლევი სოციალურ ფორუმთან დაკავშირებით".[1]

5.3. სპეციალური პროცედურები

რეაგირება ქვეყანაში ვიზიტზე

იმისათვის, რომ სპეციალური პროცედურების მანდატით აღჭურვილი პირი ესტუმროს ქვეყანას, აუცილებელია, რომ ამ ქვეყნის მთავრობამ იგი მიიწვიოს ქვეყანაში. **ვიზიტის თხოვნაზე** რეაგირებას სპეციალური პროცედურების მექანიზმი ახდენს შემდეგი სახით:

- თხოვნას ვიზიტის შესახებ საჯაროდ აქვეყნებენ თავიანთ ანგარიშებში, თავიანთ ვებგვერდებზე, საზოგადოებრივ ღონისძიებებზე და მედია საშუალებებში;
- აწყობენ შეხვედრას შესაბამისი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებთან;

[1] ხელმისაწვდომია მისამართზე
www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/CivilSociety.aspx

- სამუშაო ვიზიტით სტუმრობენ მოცემულ ქვეყანას ან რეგიონს, რაც წარმოადგენს ოფიციალური მიწვევის წინაპირობას (მაგალითად, აკადემიური ვიზიტი); და
- ოფიციალურად შეახსენებენ ვიზიტის თხოვნის შესახებ და ამ შეხსენებას საჯაროდ აქვეყნებენ.

ვიზიტის განხორციელების შემდეგ სპეციალური პროცედურები რეაგირების სხვადასხვა მეთოდს იყენებენ:

1. ქვეყანაში ვიზიტი რეაგირების მიზნით. ზოგ შემთხვევაში მანდატის მფლობელი ქვეყანას მოინახულებს ადრე განხორციელებულ ვიზიტზე რეაგირების მიზნით. ასეთი ვიზიტების დროს ხდება მიღწეული წარმატებებისა და ხარვეზების ყოველმხრივი შეფასება ადრე განხორციელებული ვიზიტისას გაცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების ფონზე. რეაგირების ვიზიტი კარგი პრაქტიკაა, თუმცა ყოველწლიურად სპეციალური პროცედურების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული 40-50 ვიზიტიდან მხოლოდ რამდენიმე მათგანი წარმოადგენს რეაგირების ვიზიტს, რაც რესურსების შეზღუდულობითაა განპირობებული.

რეაგირების მიზნით ქვეყანაში ვიზიტის მაგალითები

ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელის ვიზიტი:

→ 2012 წელი: გვატემალა (A/HRC/22/54/Add.1)

წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ვიზიტი:

→ 2012 წელი: ურუგვაი (A/HRC/22/53/Add.3)

რასიზმის თანამედროვე ფორმების, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის და მსგავსი შეუწყნარებლობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ვიზიტი:

→ 2011 წელი: უნგრეთი (A/HRC/20/33/Add.1)

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ვიზიტი:

→ 2011 წელი: ამერიკის შეერთებული შტატები (A/HRC/17/26/Add.5)

→ 2010 წელი: ელ სალვადორი (A/HRC/17/26/Add.2) და ალჟირი (A/HRC/17/26/Add.3)

ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ვიზიტი:

→ 2011 წელი: ტუნისი (A/HRC/16/51/Add.2)

2. ანგარიშები რეაგირების ღონისძიებათა შესახებ. ზოგ შემთხვევაში მანდატის მფლობელი აქვეყნებს რეაგირების ღონისძიებათა შესახებ ანგარიშს მთავრობისგან, ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულებებიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ქვეყანაში ვიზიტის შემდგომ რეაგირების ღონისძიებათა ანგარიშების

მომზადების საინტერესო პრაქტიკა ჩამოაყალიბეს სამუშაო ჯგუფმა იძულებითი და არანებაყოფლობითი გაუჩინარების საკითხებზე, სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე, სპეციალურმა მომხსენებელმა სასამართლოსგარეშე, გამარტივებული წესით ან თვითნებური გასამართლების საკიხებზე, სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებებზე და სიღატაკის საკითხებზე და სპეციალურმა მომხსენებელმა რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე.

იძულებითი და არანებაყოფლობითი გაუჩინარების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის ანგარიშები რეაგირების ღონისძიებათა შესახებ

2010 წელს სამუშაო ჯგუფმა იძულებითი და არანებაყოფლობითი გაუჩინარების საკითხებზე დაამტკიცა რეაგირების ღონისძიებათა შესახებ საკუთარი ანგარიშის ნიმუში. ნიმუშის სტრუქტურა შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან: სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების ამსახველი ცხრილები, ქვეყანაში ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობის მოკლე აღწერა და მიღებული ზომების აღწერა. ეს ინფორმაცია ეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ სამთავრობო და არასამთავრობო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული სამუშაო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულია რეაგირების ანგარიშები კოლუმბიაში, ელ სალვადორში, გვატემალაში, ჰონდურასში, მაროკოში და ნეპალში ვიზიტების შემდეგ ამ ქვეყნებში იძულებითი გაუჩინარების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებით და ასახულია როგორც მიღწეული წარმატებები, ისე ხარვეზები.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის რეაგირების ცხრილები

ქვეყანაში ვიზიტის შემდეგ სპეციალური მომხსენებელი რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე წერილობითი ფორმით ითხოვს განახლებულ ინფორმაციას ეროვნულ დონეზე რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. 2005 წლიდან სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგად შედგენილი რეაგირების ცხრილები შეიცავენ დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულ ქვეყანაში ვიზიტის ანგარიშში აისახა, აგრეთვე რეაგირების ფორმატში გაეროს მიერ გამოცემულ დოკუმენტებს, მათ შორის საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის, სპეციალური პროცედურების მექანიზმის და სახელშეკრულებო ორგანოების მიერ გამოცემულ რეაგირების დოკუმენტებს.[1]

რეაგირების ღონისძიებები

რეაგირების ღონისძიებები შეიძლება ინიცირებული იყოს სხვადასხვა ორგანოს მიერ, როგორიცაა მთავრობა, ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულება, სამოქალაქო საზოგადოება ან გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, ვის მიერ იქნება ინიცირებული, ეს ღონისძიებები ეროვნულ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე სასარგებლოა ქვეყანაში ვიზიტის შედეგად გამოცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით პროგრესის შესაფასებლად, გამოცდილების გასაზიარებლად და პრობლემებზე სამსჯელოდ. ეს ღონისძიებები შეიძლება სხვადასხვა ფორმით მოეწყოს, როგორიცაა მრგვალი მაგიდა, ექსპერტთა შეხვედრა ან კონფერენცია.

[1] www.ohchr.org/EN/Issues/FreedomReligion/Pages/Visits.aspx

სამუშაო შეხვედრა მონობის საკითხებზე მავრიტანიაში

2013 წლის იანვარში სპეციალურმა მომხსენებელმა მონობის თანამედროვე ფორმებზე მონაწილეობა მიიღო რეაგირებისადმი მიძღვნილ სამუშაო შეხვედრაში, რომელზეც განხილულ იქნა მისი მავრიტანიაში ვიზიტის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება. სამუშაო შეხვერაში მონაწილე ხელისუფლების წარმომადგენლებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საგზაო რუკა სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციების შესასრულებლად. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარიატმა ითანამშრომლა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და დაეხმარა მათ იმაში, რომ მთავრობას ოფიციალურად მიეღო და შეესრულებინა აღნიშნული საგზაო რუკა.

დასკვნების გავრცელება ჩილეს და არგენტინის მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ

2010 წლის იანვარში სპეციალურმა მომხსენებელმა მკვიდრი მოსახლეობის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მდგომარეობის საკითხებზე ვიდეო კონფერენცია გამართა ჩილეს მკვიდრი მოსახლეობის უფლებებთან დაკავშირებით. სამოქალაქო საზოგადოებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) სამხრეთ ამერიკის რეგიონული ოფისის დახმარებით ვიდეო კონფერენცია ერთდროულად ჩილეს ხუთ ქალაქში გადაიცემოდა. თავის გამოსვლაში სპეციალურმა მომხსენებელმა მისი ჩილეში ვიზიტის შედეგად შედგენილ ანგარიშში გაკეთებულ დასკვნებსა და შენიშვნებზე განმარტებები გააკეთა.

2012 წელს სპეციალურმა მომხსენებელმა ასეთივე კონფერენცია გამართა არგენტინაში, სადაც კონფერენციას მასპინძლობდა გაეროს ადგილობრივი ქვეყნის ჯგუფი.

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

- ▶ თხოვნა ვიზიტის განხორციელების შესახებ;
  - შეუძლიათ მანდატის მფლობელს მიმართონ წინადადებით, რომ ამ უკანასკნელმა ითხოვოს ვიზიტის განხორციელება მოცემულ ქვეყანაში და ეს წინადადება ვიზიტის საჭიროების შესახებ დაასაბუთონ არსებითად;
  - დარჩნენ საქმის კურსში მომავალი ვიზიტების შესახებ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) სამოქალაქო საზოგადოების ელფოსტით ინფორმირების სისტემის მეშვეობით;
  - მთავრობასთან და სხვა შესაბამის აქტორებთან (მაგალითად, პარლამენტის წევრებთან, დიპლომატიურ მისიებთან) გასწიონ ვიზიტის განხორციელების ადვოკატირება;
- ▶ მონაწილეობა მიიღონ რეაგირების ვიზიტების მომზადებასა და განხორციელებაში;
- ▶ რეაგირების ანგარიშების შედგენისთვის მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია;
- ▶ წინადადებით გამოვიდნენ, მონაწილეობა მიიღონ და, თუ შესაძლებელია, თავად მოაწყონ რეაგირების ღონისძიებები.

რეაგირება შეტყობინებებზე

ერთობლივ ანგარიშს შეტყობინებების შესახებ ადამიანის უფლებათა საბჭოს ყოველ მორიგ სხდომაზე წარუდგენს ყველა სპეციალური პროცედურა. შეტყობინებების შესახებ ანგარიში გამოიცემა წელიწადში სამჯერ და შეიცავს შესაბამისი სახელმწიფოსთვის ან სხვა ორგანიზაციისთვის გაგზავნილი საჩივრების მოკლე შინაარსს. გაგზავნილი შეტყობინებების ტექსტი და მთავრობის პასუხები ხელმისაწვდომია აქ მითითებულ მისა-

მართებზე. სპეციალურ პროცედურებს შეუძლიათ მიიღონ და განხილონ დამატებითი ინფორმაცია იმ საქმეზე, რომელზეც გაგზავნილ იქნა შეტყობინება. დამატებით ინფორმაციას, როგორც წესი, იძლევა იგივე წყარო, რომელმაც თავდაპირველი ინფორმაცია წარმოადგინა. 2012 წელს სპეციალურმა პროცედურებმა შეტყობინებებზე დამატებითი ინფორმაცია საქმეების 21%-ში მიიღეს.

სპეციალურ პროცედურებს რეაგირების შეტყობინების გაგზავნა შეუძლიათ, როდესაც მოვლენების განვითარება ახალ ჩარევას მოითხოვს. რეაგირების შეტყობინებების დიდი ნაწილი, როგორც წესი, ეფუძნება დამატებით ინფორმაციას. 2012 წელს შეტყობინებების 31%-ს შეადგენდა რეაგირების შეტყობინებები.

რეაგირების შეტყობინების გაგზავნა შეიძლება მოხდეს ქვეყანაში ვიზიტის დროსაც ან შესაბამისი სახლმწიფოს წარმომადგენლებთან დიპლომატიური კონსულტაციების მიმდინარეობისას. იშვიათად, სიმბოლური მნიშვნელობის საქმეებში, სპეციალურმა პროცედურებმა შეიძლება გამოსცენ ინფორმაცია პრესისთვის (პრესს release).

შეტყობინებებზე რეაგირება შეიძლება მოხდეს ასევე მანდატის მფლობელის წლიურ ანგარიშში შენიშვნების დაფიქსირების გზით. შენიშვნები, როგორც წესი, დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევების ტენდენციებთან და ნიმუშებთან, თუმცა, ისინი შეიძლება დაფიქსირდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაშიც.

მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის დასკვნითი ანგარიში

2010 წელს მისი მანდატის შექმნის დღიდან სპეციალურმა მომხსენებელმა ორი დასკვნითი ანგარიში გამოსცა, რომელშიც მან კიდევ ერთხელ გამოთქვა შეშფოთება ადამიანის უფლებათა დარღვევის შემცველ კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ პასუხების გათვალისწინებით, რომლებიც შესაბამისმა მთავრობებმა წარდგენილი შეტყობინებების პასუხად გააკეთეს.

2012 წელს სპეციალურმა მომხსენებელმა ასეთივე კონფერენცია გამართა არგენტინაში, სადაც კონფერენციას მასპინძლობდა გაეროს ადგილობრივი ქვეყნის ჯგუფი.

თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მონაცემთა ბაზა

2011 წელს ამოქმედდა თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის **მონაცემთა ბაზა**, რომელიც პრაქტიკული კვლევითი ინსტრუმენტია და იძლევა 1991 წლიდან დღემდე სამუშაო ჯგუფის მიერ გამოცემული დასკვნების ძებნის შესაძლებლობას. **მონაცემთა ბაზა** შესაძლებელს ხდის ამ დასკვნების რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს. იგი დახმარებას გაუწევს თვითნებური დაკავებით დაზარალებულ პირებს, პრაქტიკოს მუშაკებს და სხვებს სამუშაო ჯგუფისადმი თვითნებური დაკავების თემაზე საჩივრით მიმართვაში.[1]

[1] www.unwgaddatabase.org/un/

რეაგირება იძულებითი და არანებაყოფლობითი გაუჩინარების საქმეებზე

სამუშაო ჯგუფი იძულებითი და არანებაყოფლობითი გაუჩინარების საკითხებზე ცდილობს საკომუნიკაციო არხის შექმნას ოჯახებსა და შესაბამის მთავრობებს შორის. ყველა სახის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც წყაროებიდან შემოდის განხილვაში მყოფ საქმესთან დაკავშირებით, გადაეცემა შესაბამის მთავრობას. მთავრობების მიერ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია გადაეცემა წყაროებს. გაუჩინარებული პირის ბედისა და ადგილმდებარეობის თაობაზე სახელმწიფოს მიერ გაცემულ პასუხს სამუშაო ჯგუფი უგზავნის წყაროს და სთხოვს მას თავისი მოსაზრებების ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენას. თუ წყარო არ უპასუხებს ექვსი თვის ვადაში ან აპროტესტებს მთავრობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სამუშაო ჯგუფის მიერ არაგონივრულად მიჩნეული საფუძვლით, მაშინ საქმე გახსნილად ითვლება. საქმეები წარმოებაში რჩება მანამ, სანამ არ მოხდება მათი გახსნა, შეწყვეტა ან დახურვა. სამუშაო ჯგუფი ყველა შესაბამის მთავრობას წელიწადში ერთხელ შეახსენებს გაუხსნელი საქმეების შესახებ, ხოლო წელიწადში სამჯერ – სასწრაფო საქმეების შესახებ, რომლებიც მათ გადაეგზავნათ წინა სხდომის შემდგომ პერიოდში. რამდენადაც შესაძლებელია, შესაბამისი თხოვნის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფი შესაბამის მთავრობას ან წყაროს უგზავნის განახლებულ ინფორმაციას კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით.[1]

[1] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სამუშაო ჯგუფის განახლებული სამუშაო მეთოდოლოგია (/HRC/10/9, danarTi 1).

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

- რეგულარულად შეამოწმოს ინფორმაცია წარდგენილი შეტყობინებების შესახებ და ამგვარად დარჩეს ინფორმირებული არსებული ვითარებისა და კონკრეტული საქმეების თაობაზე;
- ფართოდ გაავრცელოს შეტყობინებები ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ქსელების მეშვეობით, საქმეებზე დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად;
- წარადგინოს ინფორმაცია წინა შეტყობინების შემდეგ მომხდარი დადებითი და უარყოფითი განვითარებების შესახებ;
- გაეცნოს მთავრობის პასუხებს და თავისი შენიშვნები გადაუგზავნოს სპეციალურ პროცედურებს;
- იქონიოს რეგულარული კავშირი სპეციალური პროცედურების მანდატის მფლობელებთან გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) დამხმარე ჯგუფების მეშვეობით; და
- გამოიყენოს ელფოსტა urgent-action@ohchr.org ან სპეციალური პროცედურების შესაბამისი მანდატის მფლობელის მსგავსი ელფოსტა; სპეციალური პროცედურების საინფორმაციო კატალოგი ხელმისაწვდომია მისამართზე:

http://goo.gl/5qoNL

შეტყობინებები და შეტყობინებებზე რეაგირება, რეგიონების მიხედვით, 2012წ.



რეაგირება თემატურ ანგარიშებზე

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სპეციალური პროცედურები ორგანიზებას უწევენ ან მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელიც მიზნად ისახავს მათი წლიური თემატური ანგარიშების განხილვას ან წარდგენას ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის ან გენერალური ასამბლეისთვის. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს საბჭოში განხილვის მიმდინარეობის პროცესში გამართული ე.წ. გვერდითი ღონისძიებები (სიდე events) ან სხვა კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები. გარდა ამისა, ხშირი პრაქტიკაა პრეს რელიზების ან ინტერნეტ რეპორტაჟების გამოცემა და პრეს კონფერენციების ჩატარება ანგარიშში განხილულ საკითხებზე. "თემატური საერთაშორისო დღეები" შეიძლება გამოყენებული იქნას იმისათვის, რომ მედიის ყურადღება მიეპყროს თემატურ ანგარიშებში ასახულ ადამიანის უფლებათა საკითხებს.

ინტერნეტ ინსტრუმენტები: კრებული რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე და წამების საწინააღმდეგო ინიციატივა

კრებული რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე

2011 წელს აღინიშნა რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მანდატის შექმნის 25 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა **კრებული რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე**, რომელიც შეიცავს 1986 წლიდან დღემდე მანდატის მფლობელი ოთხი პირის მიერ გამოცემულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. კრებული გამიზნულია ადვოკატირების, განათლების და კვლევის მიზნებისთვის. იგი შეიცავს თემატურად დალაგებულ ამონარიდებს 1986 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში გამოცემული ანგარიშებიდან.[1]

წამების საწინააღმდეგო ინიციატივა

2013 წელს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებზე აამოქმედა **ინტერნეტ ტრიბუნა**, რომელიც შეიცავს ინფორმაციას რეაგირების საქმიანობების შესახებ, მათ შორის ყველა თემატურ ანგარიშს, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს და შენიშვნებს. აქვე თავმოყრილია ქვეყანაში ვიზიტებზე და თემატურ ანგარიშებზე რეაგირებასთან დაკავშირებული პრეს რელიზები, ინტერვიუები, კონფერენციები, სხდომები, პუბლიცისტური წერილები და სხვა ინფორმაცია მედიაში ამ საკითხების გაშუქების შესახებ.[2]

[1] www.ohchr.org/EN/Issues/FreedomReligion/Pages/Standards.aspx

[2] http://antitorture.org

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

- გააკეთონ გვერდითი ღონისძიებების ორგანიზება[1] ან მონაწილეობა მიიღონ მათში იმ პერიოდში, როდესაც ადამიანის უფლებათა საბჭო ატარებს სხდომებს თემატურ ანგარიშში შეტანილ საკითხებზე;

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობების (მაგალითად, ადვოკატირება, უნარიანობის ამაღლება, ცნობიერების ამაღლება, მეთვალყურეობა) გაძლიერების მიზნით ისარგებლონ თემატურ ანგარიშებში ასახული დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

5.4. საყოველთაო პერიოდული განხილვა

საყოველთაო პერიოდული განხილვის პირველი ციკლი 2011 წლის ოქტომბერში დასრულდა, როდესაც გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო დაექვემდებარა განხილვას. განხილვის მეორე და შემდგომი ცილკების დროს სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ინფორმაციის მიწოდება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ გაატარეს პირველი განხილვის შედეგად გამოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, აგრეთვე სხვა განვითარებების შესახებ. გარდა ამისა, რეგულარულად განახლებული ინფორმაცია შეიძლება წარედგინოს ადამიანის უფლებათა საბჭოს მისი სხდომების პერიოდში, დღის წესრიგის მე-6 პუნქტის საფუძველზე, რომელიც საყოველთაო პერიოდულ განხილვას ეხება. როგორც სახელმწიფოებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ განახლებული ინფორმაციის წარდგენა შუალედური ანგარიშების, ზეპირი და წერილობითი განცხადებების სახით.

---

[1] გვერდითი ღონისძიებების ორგანიზების უფლება აქვთ მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში (ECOSOC) სარგებლობენ საკონსულტაციო სტატუსით

ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის ანგარიშის ჩაბარება კოლუმბიაში საყოველთაო პერიოდული განხილვის რეკომენდაციების შესრულების შესახებ

კოლუმბიის იურისტთა კომისია რეგულარულად აწვდის ადამიანის უფლებათა საბჭოს განახლებულ ინფორმაციას ზოგადი დებატების მიმდინარეობისას დღის წესრიგის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით ანუ საყოველთაო პერიოდულ განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ, მიწოდებული ინფორმაცია ეხება იმას, თუ რამდენად ასრულებს კოლუმბიის მთავრობა საყოველთაო პერიოდული განხილვის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებს.

როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას მონაწილეობის მიღება?

- ინფორმაციის წარდგენისას, რომელიც ადრესატის ანგარიშში შესატანადაა გამიზნული, აუცილებელია, რომ ეს ინფორმაცია შეიცავდეს სახელმწიფოს მიერ პირველი ციკლის რეკომენდაციების შესრულება-არშესრულების ანალიზს.

- განხილვის მწარმოებელ სახელმწიფოებს ანუ იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც პირველი განხილვის დროს გამოსცეს რეკომენდაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება გააცნონ განხილვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიერ რეკომენდაციების შესრულების საკუთარი ანალიზი.

- გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსით მოსარგებლე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ წერილობითი და ზეპირი განცხადებებით მიმართონ ადამიანის უფლებათა

საბჭოს დღის წესრიგის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე და მიაწოდონ განახლებული ინფორმაცია სახელმწიფოების მიერ საყოველთაო პერიოდული განხილვის ფარგლებში გამოცემული რეკომენდაციების შესრულებაში პროგრესისა და ხარვეზების შესახებ.

მეტი ინფორმაციისთვის იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანოების მუშაობაში, გაეცანით ადამიანის უფლებათა კომისარიატის "სახელმძღვანელოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის: გაეროს ადამიანის უფლებათა პროგრამასთან მუშაობა" და "პრაქტიკულ სახელმძღვანელოს საყოველთაო პერიოდული განხილვის საკითხებზე".[1]

საყოველთაო პერიოდულ განხილვაზე რეაგირების ინსტრუმენტები

საყოველთაო პერიოდული განხილვის ფარგლებში გამოცემული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობის და მასზე მეთვალყურეობის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციამ "UPR-Info" შეიმუშავა შემდეგი ინსტრუმენტები:

→ რეაგირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს რეკომენდაციების შესრულების შეფასებას პირველი ციკლის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ (შესრულების შუალედური შეფასება) და პირველი ციკლის დროს გამოცემული რეკომენდაციებისა და დაპირებების შედარებას სახელმწიფოს ინფორმაციასთან, რომელიც ასახული იქნება საყოველთაო პერიოდული განხილვის მეორე ციკლისთვის მომზადებულ ეროვნულ ანგარიშში.

[1] ხელმისაწვდომია მისამართზე
www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/CivilSociety.aspx

→ კვლევა სახელწოდებით **“გზა შესრულებისკენ”**, რომელშიც გაანალიზებულია რეაგირების პროგრამის მეშვეობით შეკრებილი ინფორმაცია და მონაცემები. თავის მხრივ, ეს მონაცემები ეყრდნობა 66 ქვეყნის მიმართ გაცემული 6542 რეკომენდაციიდან 3294 რეკომენდაციის შესრულების შეფასებას.

→ **რეაგირების ინსტრუმენტების კომპლექტი სამოქალაქო საზოგადოებისთვის**, რომელიც ითვალისწინებს ხუთ ძირითად რეკომენდებულ მიმართულებას: 1. საყოველთაო პერიოდული განხილვის დროს გაცემული რეკომენდაციების და დაპირებების გასაჯაროება; 2. შესრულების დაგეგმვა; 3. განხილვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან დიალოგის გამართვა შესრულებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით; 4. შესრულებაზე მეთვალყურეობა და 5. შესრულებაზე ანგარიშგება.[1]

ორგანიზაციამ **Organisation internationale de la Francophonie** გამოაქვეყნა პრაქტიკული გზამკვლევი საყოველთაო პერიოდული მექანიზმის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების და დაპირებების შესრულების საკითხებზე. ეს გზამკვლევი ძირითადად სახელმწიფოებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ იგი ეხება პროცესში მონაწილე სხვა პირებსაც, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და მათ, როგორც სახელმწიფოს პარტნიორების როლს რეაგირებასა და შესრულებაში. გზამკვლევში წარმოდგებილია წინადადება, რომ შესრულება მოხდეს 10 პუნქტიანი გეგმის მიხედვით. ეს პუნქტებია:

1. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება
2. ინფორმაციის თემატურად დალაგება
3. რეკომენდაციებიდან გამომდინარე მოქმედებებისა და შედეგების ამოცნობა
4. შესრულების ღონისძიებების ამოცნობა
5. თითოეულ სექტორში ინტეგრირებული მეთოდის შემუშავება

[1] www.upr-info.org/followup/

6. შესრულების პროცესში პასუხისმგებლობების განაწილება სახელმწიფოს დონეზე
7. შესრულების პროცესში პარტნიორების ამოცნობა ეროვნულ დონეზე
8. შესრულების ვადების განსაზღვრა
9. უნარიანობის ამაღლების და ტექნიკური დახმარების საჭიროებათა ამოცნობა; შესრულების პროცესში პარტნიორების ამოცნობა საერთაშორისო დონეზე
10. შესრულებისთვის რეაგირების და შეფასების სტრატეგიის შემუშავება.[1]

5.5. კომპლექსური მიდგომა

ამ ნაწილში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი რეაგირების პროცედურები და სხვადასხვა მექანიზმის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, ვინაიდან მსგავსებათა მიუხედავად, ისინი თითოეული მექანისმზმის სხვადასხვა მახასიათებლებია. მაგრამ საჭიროა კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ რეაგირება უფრო ეფექტურია, თუ ის ხორციელდება კომპლექსური მიდგომით (ჰოლისტიც approach), როდესაც ადამიანის უფლებათა სხვადასხვა მექანიზმის რეკომენდაციები ერთმანეთს აძლიერებენ და მაქსიმალურად ზრდიან შესრულების უნარიანობას. იხილეთ აგრეთვე ამ გზამკვლევის მესამე ნაწილი.

5.6. რეპრესალიები

იმ ადამიანებისა და ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ითანამშრომლონ ან რომლებსაც უთანამშრომლიათ გაეროსთან, მის წარმომადგენლებთან და მექანიზმებთან ადამიანის უფლებათა სფეროში, შეიძლება გამოიყენონ რეპრესა-

[1] www.francophonie.org

ლიები, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა დარღვევების ჩადენაში. რეპრესალიები შეიძლება მოხდეს, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება ცდილობს გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმებთან თანამშრომლობას რეაგირების საქმიანობების ფარგლებშიც.

ადამიანის უფლებათა საბჭომ 12/2 რეზოლუციით გენერალურ მდივანს დაავალა ყოველწლიურად ანგარიშის წარდგენა საბჭოსთვის, რომელშიც შეტანილი უნდა იქნას ინფორმაცია გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმებთან მოთანამშრომლე პირების წინააღმდეგ სავარაუდოდ განხორციელებული რეპრესალიების შესახებ და შესაბამისი ანალიზი, აგრეთვე რეკომენდაციები დაშინებებზე და რეპრესალიებზე რეაგირებასთან დაკავშირებით.[1]

საბჭოსთან, სპეციალურ პროცედურებთან და სახელშეკრულებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო, აგრეთვე მათ რეაგირების პროცედურებში და პრაქტიკაში მონაწილეობის გამო განხორციელებული რეპრესალიების ასახვასთან ერთად, ანგარიში შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარიატთან, მისი ადგილობრივ წარმომადგენლობებთან და ადამიანის უფლებათა მრჩევლებთან, გაეროს ადგილობრივი ქვეყნის ჯგუფებთან, მშვიდობის შენარჩუნების მისიების ადამიანის უფლებათა კომპონენტებთან და სხვებთან თანამშრომლობის გამო განხორციელებულ რეპრესალიებზე. რეკომენდებული და მნიშვნელოვანია ასევე ინფორმაციის შეტანა წინა ანგარიშებში მითითებულ საქმეებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ.

რეპრესალიები შეიძლება განხორციელდეს იმ პირების მიმართ:

- რომლებიც ცდილობენ ითანამშრომლონ ან უთანამშრომლიათ გაეროსთან, მის წარმომადგენლებთან და მექანიზ-

[1] 2012 და 2011 წლების ანგარიშები შეგიძლიათ მოიძიოთ დოკუმენტების ნომრებით A/HRC/21/18 da A/HRC/18/19

მებთან ადამიანის უფლებათა სფეროში ან რომლებმაც ამ ორგანოებს მისცეს ჩვენება ან მიაწოდეს ინფორმაცია;

- რომლებიც სარგებლობენ ან უსარგებლიათ გაეროს ეგიდით არსებული პროცედურებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მიზნით და/ან გაუწევიათ სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება ამავე მიზნით;

- რომლებსაც წარდგენილი აქვთ ან წარუდგენიათ შეტყობინება ადამიანის უფლებათა დოკუმენტებით დადგენილი პროცედურების მიხედვით და/ან გაუწევიათ სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარება ამავე მიზნით;

- რომლებიც არიან ადამიანის უფლებათა დარღვევით დაზარალებული პირის ან დაზარალებულთათვის სამართლებრივი ან სხვა სახის დახმარების გამწევი პირის ნათესავები.

რეპრესალიების ფაქტების გასაჯაროება გენერალური მდივნის ანგარიშში მათი ასახვის გზით შეიძლება უკეთეს დაცვას ნიშნავდეს. მაგრამ სიფრთხილით უნდა შეფასდეს გასაჯაროებასთან დაკავშირებული საფრთხეები. ამიტომ გენერალური მდივნის ანგარიშში აისახება ხოლმე მხოლოდ ის საქმეები, რომელთა გასაჯაროებაზე გაცნობიერებული თანხმობა გამოთქვეს იმ პირებმა, ვისაც აღნიშნული საქმე ეხება.

რეპრესალიების შესახებ ინფორმაციის წარსადგენად შეგიძლიათ ისარგებლოთ მისამართით:

reprisals@ohchr.org

6. ისწავლეთ მეტი

- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის (OHCHR) ვებგვერდი:

www.ohchr.org

- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის ინსტრუმენტები სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ხელმისაწვდომია გაეროს 6 ოფიციალურ ენაზე, შემდეგ მისამართზე:

www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/CivilSociety.aspx

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო ინდექსი:

http://uhri.ohchr.org/

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამსახური და ადამიანის უფლებათა სამართლის ცენტრი, **"გაეროს ადამიანის უფლებათა რეკომენდაციების შიდასახელმწიფოებრივი შესრულება – გზამკვლევი ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის და ადვოკატებისთვის"**, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

www.ishr.ch

- ორგანიზაცია "UPR-Info"-ს ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია მისამართზე:

www.upr-info.org/followup

- La Francophonie, "საყოველთაო პერიოდული განხილვის პრაქტიკული გზამკვლევი, 2013წ.", ხელმისაწვდომია მისამართზე

www.francophonie.org

- **“გადაწყვეტილებიდან მართლმსაჯულებამდე – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული გადაწყვეტილებების შესრულება”**, 2010წ. და **“უფლებებიდან დაცვის მექანიზმებამდე: ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო გადაწვეტილებების შესრულების სტრუქტურები და სტრატეგიები”**, 2013წ. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

www.opensocietyfoundations.org

- ინტერნეტ ტრანსლაცია (webcasting):

  - **გაეროს ვებ ტელევიზია**

http://webtv.un.org

  - სახელშეკრულებო ორგანოების სხდომები:

www.treatybodywebcast.org

- პრაქტიკოსთა გზამკვლევი ადამიანის უფლებებზე პაციენტთა დაცვის სფეროში:

http://health-rights.org/

- კაზუსები ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნით შენიშვნებზე რეაგირების საქმიანობებისთვის:

www.childrightsnet.org/NGOGroup/CRC/FollowUp/

- თვითნებური დაკავების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მონაცემთა ბაზა:

www.unwgaddatabase.org/un/

- **კრებული რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებზე**:

www.ohchr.org/EN/Issues/FreedomReligion/Pages/Standards.aspx

ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა ცალკეულ მექანიზმებთან. ისინი ხელს უწყობენ და მხარს უჭერენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაკავშირებას ამ მექანიზმებთან და შეუძლიათ დახმარების გაწევა და რჩევების გაზიარება. მაგალითად, ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციებია:

- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა კომიტეტის შემთხვევაში: "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცენტრი" (CCPR Centre)
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის შემთხვევაში: "Child Rights Connect"
- უნარშეზღუდულთა უფლებების კომიტეტის შემთხვევაში: "უნარშეზღუდულთა საერთაშორისო ალიანსი" (International Disability Alliance)
- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შემთხვევაში: "საერთაშორისო მოძრაობა დისკრიმინაციის და რასიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ" (International Movement against All Forms of Discrimination and Racism)
- მიგრანტი მუშაკების საკითხთა კომიტეტის შემთხვევაში: "მიგრანტი მუშაკების შესახებ კონვენციის საერთაშორისო ტრიბუნა" (International Platform on the Migrant Workers Convention)
- წამების საწინააღმდეგო კომიტეტის შემთხვევაში: "წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო საბჭო" (The International Rehabilitation Council for Victims of Torture)
- ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შემთხვევაში: "International Women's Rights Action Watch (IWRAW) Asia Pacific"
- საყოველთაო პერიოდული განხილვის მექანიზმის შემთხვევაში: "UPR-Info"

7. დაგვიკავშირდით

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის სამოქალაქო საზოგადოების განყოფილებას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მისამართზე

civilsociety@ohchr.org

ტელეფონი: +41 (0) 22 917 9656

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის "ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო" და "პრაქტიკული გზამკვლევები სამოქალაქო საზოგადოებისთვის" ხელმისაწვდომია ელექტრონულად არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე მისამართზე www.ohchr.org/EN/AboutUs/Pages/CivilSociety.aspx

სამოქალაქო საზოგადოებასთან ელფოსტით კომუნიკაციის სისტემა იძლევა განახლებების და მითითებების მიღების საშუალებას ყველა სახის ადამიანის უფლებათა მანდატზე და მექანიზმზე, აგრეთვე ინფორმაციას დაფინანსებაზე, გრანტებზე და სტიპენდიებზე განცხადების შეტანის პირობებისა და ვადების შესახებ. სიახლეებზე ხელმოწერისთვის მოინახულეთ სამოქალაქო საზოგადოების ვებგვერდი ან შემდეგი მისამართი:

http://goo.gl/O8snt

თარგმანი: **გიორგი კუკულავა**
რედაქტირება: **ანა გეგეჭკორი**
ტექნიკური კორექტურა: **დავით ყიფიანი**

გამომცემელი: შპს. „სი-ჯი-ეს“

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს და გამოცემულია საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ 2014 წელს. ინგლისურ ენაზე ტექსტის ორიგინალის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე www.ohchr.org

პრაქტიკული გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისთვის

როგორ მოვახდინოთ რეაგირება გაეროს ადამიანის უფლებათა რეკომენდაციებზე

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი
ერთა სასახლე
CH 1211 ჟენევა 10
შვეიცარია
ტელეფონი: +41 (0)22 917 90 00
ფაქსი : +41 22 917 90 08
www.ohchr.org

UNITED NATIONS HUMAN RIGHTS
OFFICE OF THE HIGH COMMISSIONER

20 YEARS WORKING FOR YOUR RIGHTS
1993 WORLD CONFERENCE ON HUMAN RIGHTS